შიდა ქართლი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№43 (9.804)
4 – 11 ნოემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

საქართველოს ბანკი VS მოსახლეობა

გ 3.3

გ 3.7

როდიდან გაიზრდება პენსია

გ 3.2

პერპეტუალურ საქმე უკეთესობისკენ მიდის

რიგგარეშე სხდომა გაიმართა

გ 3.3

გ 3.5

ფეხბურთელი და ცისარტყელასფერიანი სამკლავური

გ 3.8

ანზორ მარტყოფლიშვილის სახელობის ტურნირი

პოეტი, კირითხურო და უბადლო ქართველი

გ 3.6

C M Y K

ჯერჯერობით, საქმე უკეთესობისკენ მიდის

ჩვენ ელექტროენერგიას ვყიდულობთ და მომხმარებელზე ვყიდით, სწორედ ამიტომ, მოხმარებული ენერგიის საფასური აბონენტმა ქვითარზე მითითებულ დროში აუცილებლად უნდა გადაიხადოს.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მთელ არეალში ოპერირებას უკვე ჩეხური ენერგო-პრო ჯგუფის წევრი კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ ანხორციელებს,რომელიც საქართველოს ენერგობაზარზე 2007 წლიდან შემოვიდა,15 ჰიდროელექტროსადგურს ამუშავებს და 1 მილიონზე მეტ აბონენტს ემსახურება. ორი თვე გავიდა. უკვე დროა, მოვიკითხოთ, რა გაკეთდა, რა იგეგმება და რა შეიცვალა ზოგადად, ამ კომპანიის შემოსავლით. ყოველივე ამის გასაგებად „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კახეთის ფილიალის დედოფლისწყაროს მომსახურების ცენტრის დირექტორს ივანე გიგოლაშვილს *ვესტუმრეთ სასაუბროდ:*

–ბატონო ვანო, თითქმის ორი ათეული წელი „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმში ფუნქციონირებდა და, გარკვეულწილად, ეკონომიურად არცთუ მთლად უზრუნველყოფილნი იყავით. თუმცა,დადებითი ნაბიჯები მაინც გადაიდგა: აშენდა როგორც ახალი ხაზები, ასევე გარემონტდა სხვადასხვა უბანი, მოხდა გამრიცხველიანება და სხვა, მაგრამ სრულყოფილებამდე ჯერ შორს ვართ. რა სიახლეები გაქვთ და რა გაკეთდა ამ ორ თვეში ახალი მეპატრონის მფლობელობაში?

– ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მივიღეთ ორი ორხიდიანი მანქანა – „ნივა“ და სატვირთო „პიკაპი“. წლის ბოლომდე დაგეგმილია ერთი „უაზ“-ის ტიპის მანქანის გამოყოფაც. გამართული და მძლავრი ტექნიკა ჩვენი უკეთესი მუშაობის გარანტია. ეს მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე უზრუნველყოფილი ვართ საწვავით.თანამშრომლებს უკვე დაურიგდათ წყალგაუმტარი ლაბადები. ერთ კვირაში კი სპრეცტანსაცმელი და ფეხსაცმელი მიეცემათ სეზონის მიხედვით. გამოსწორდა კომპიუტერული სისტემის ხარვეზები, ნაწილი ჩანაცვლდა ახალი თაობის კომპიუტერებიო, რაც გამართულ და სწრაფ მუშაობას უწყობს ხელს. მივიღეთ უსაფრთხოების ხელსაწყოთა სრული კომპლექტები. ამ ყველაფერთან ერთად მიმდინარეობს ხელფასების მატება ეტაპობრივად და წლის ბოლომდე ყველა თანამშრომელს ახალი ტარიფით მიეცემა ხელფასი. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მონტიორის მიზერული ხელფასი, რომელიც სულ რაღაც სამას ლარს შეადგენდა და სრულებითაც არ შეეფერებოდა მათ შრომას, დაახლოებით 700-800 ლარამდე გაიზრდება. ეს დიდი სტიმულიც არის და პასუხისმგებლობაც.

– ახლა რა სამუშაოები მიმდინარეობს?

– დღეისათვის დაზიანებული ელექტრობოძების ახლით ჩანაცვლება მიმდინარეობს. ზოგი ხის ბოძებია, ზოგიც–რკინა-ბეტონის. მაგალითად, საბათლოში სულ რკინა-ბეტონის ბოძებია ჩატანილი. მირზაანში, ოზაანში და გამარჯვებაში დაწყებულია მოკვლევა, რათა მოხდეს ამ სოფლების გამრიცხველიანებაგასიპვა (გასიპვა ნიშნავს ღია სადენის მაღალი გამტარობის სიპკაბელით შეცვლას), რაც აღმოფხვრის ავარიული გამორთვების ალბათობას და უზრუნველჰყოფს დენის სტანდარტულ, ხარისხიან მიწოდებას.გასულ წელს სოფელ სამრეკლოსა და ხორნაბუჯის სრული გასიპვა მოხდა და იქ მინიმუმამდეა დაყვანილი ავარიული გათიშვები. ასეა ქალაქის რამდენიმე უბანიც. ჩვენი მიზანი და ამოცანაა სამომავლოდ მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის გასიპვა. იქამდე კი, მინდა, მოსახლეობას ბოდიში მოვუხადო ელექტროენერგიის ხარვეზებით მიწოდების გამო და მადლობა ვუთხრა მოთმინებისთვის, რადგან ჯერ კიდევ ხშირია ავარიული გამორთვები ხაზების გაუმართაობის და ამ ბოლო დროს გახშირებული და გაძლიერებული ქარიანი ამინდების გამო. მალე დაინერგება სადისპეტჩერო სისტემა, გამოიყოფა სატელეფონო ნომერი, რომელსაც მომხმარებელს ვაცნობებთ და ავარიის შემთხვევაში უფრო ოპერატიული იქნება მომსახურებაც.

–სექტემბერ-ოქტომბერში გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით მოსახლეობაში გაურკვევლობას და უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი. იქნებ აგვიხსნათ, რა მოხდა?

– მოსახლეობას სექტემბრის თვეში მიუვიდა ორი ქვითარი: ერთი „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“, მეორე „ენერგო-პრო ჯორჯიასი“. იმის გამო, რომ გადაბარების პროცესი მიმდინარეობდა, მრიცხველების წაკითხვა მოხდა ორი კვირის დაგვიანებით. შესაბამისად, გადასახდელიც მაღალი იყო, რადგან ფაქტიურად თითქმის 6 კვირას მოიცავდა. ოქტომბრის თვიდან ყველფერი უკვე დალაგდა. ქვითარზე მითითებული აბონენტის ნომრის მიხედვით მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს აღნიშნული თანხა იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ქვითარში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდება დენის მიწოდება. მრიცხველების წაკითხვა ხდება თვის ბოლო ორი და შემდეგი თვის პირველი ორი დღის, ანუ სულ 4 დღის განმავლობაში. წაკითხვა მოხდება ელექტრონული ვერსიით, პლანშეტის მეშვეობით, რაც ინფორმაციის მიწოდების სისწრაფეს და სიზუსტეს უზრუნველჰყოფს. შემდგომ ოთხ დღეში კი ქვითრები დარიგდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც წაკითხვა მოხდა. კიდევ ვიმეორებ, მოქალაქე ვალდებულია, გადასახადი გადაიხადოს ქვითარში მითითებულ ვადაში.

– სად შეუძლია გადაიხადოს აბონენტმა გადასახადი?

-ამჯერად ისევ მუშაობს ჩვენი სალაროც და სალაროსთან მდგარი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საგადასახადო ტერმინალიც, სადაც არ კავდება მომსახურების პროცენტი. მომსახურების პროცენტის გარეშე მუშაობს აგრეთვე საქართველოს ბანკის ტერმინალებიც. სხვა დანარჩენი აპარატები იღებს გადასახადს, მაგრამ საკომისიო დანამატი აქვს. სამომავლოდ ქალაქის რამდენიმე საკვანძო ადგილზე განთავსდება „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკასო ტერმინალები, რაც მოსახლეობას გაუადვილებს გადასახადის გადახდას როგორც ტერიტორიულად, ასევე საკომისიო დანამატების გარეშე. ცვლილება გვექნება სოფლებშიც: გაუქმდება მოლარეოპერატორის შტატი და მოსახლეობის და ტერიტორიის სიდიდის მიხედვით, დაიდგმება მინი საკასო აპარატები საზოგადოების თავშეყრის ადგილებში – ადმინისტრაციულ შენობაში, მაღაზიაში, აფთიაქში, სადაც მოქალაქეს ქვითრის მიხედვით შეეძლება გადასახადის გადახდა საკომისიო დანამატის გარეშე.

– გადმოჰყვათ თუ არა მოქალაქეებს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ დროს დაგროვილი ვალები და როგორი მიდგომა აქვს ამ კუთხით ახალ მეპატრონეს?

– მინდა გითხრათ, რომ ეს ძალიან მტკივნეული საკითხია ჩვენს საქმიანობაში. ახალმა კომპანიამ ძველისგან, როგორც წესი, დავალიანებებიც გადმოიბარა. სამწუხაროდ არიან მოქალაქეები, რომელთა დავალიანებაც 300-400 ლარს აღწევს და აღემატება კიდეც.კომპანია მკაცრად ითხოვს დავალიანების მყისიერ დაფარვას.ჩვენ გვაქვს მითითება, გადაუხდელობის შემთხვევაში, შევუწყვიტოთ დენის მიწოდება და გავაფრთხილოთ, გადაიხადოს გადასახადი. ვაფრთხილებთ მეორედაც, მესამედ უკვე ჩაიხსნება მრიცხველი, დაიწერება აქტი და გადაეცემა სასამართლოს, რომელსაც უფლება აქვს, მოქალაქე დააჯარიმოს 1000 ლარის ფარგლებში. ცხადია, გადასახადი + ჯარიმა + სასამართლოს მომსახურების ხარჯები, ძალიან მძიმე ტვირთი იქნება, ზოგისთვის დაუძლეველიც, მაგრამ კომპანია არანაირ დათმობაზე არ წავა, მას თავისი შინაგანაწესი აქვს და ყველა აბონენტი კეთილსინდისიერად უნდა მოეკიდოს თავის მოვალეობას. არსებობს მხოლოდ ერთი შეღავათი. დავალიანების მქონე აბონენტმა დავალიანების 70% უნდა დაფაროს და დარჩენილი თანხის გადავადების მოთხოვნით დაწეროს განცხადება. განცხადებას სათაო ოფისი განიხილავს და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, როგორსაც საჭიროდ ჩათვლის. ასე რომ, მოქალაქეები უნდა მიეჩვივნენ, რომ სიფრთხილით მოეკიდნენ გადასახადებს და გადაიხადონ ისინი დროულად.

– რაიმე შეღავათს სოციალურად დაუცველი პირებისთვის თუ ითვალისწინებს კომპანია?

– არა, ასეთი შეღავათები კომპანიას არ აქვს. არც სამსახურებრივ იერარქიებს და არც ფინანსურ შესაძლებლობებს კომპანია არ ითვალისწინებს, მისთვის ყველა აბონენტი ელექტროენერგიის მომხმარებელია, ჩვენ ელექტროენერგიას ვყიდულობთ და ვყიდით, უფასოდ გაყიდვა კი არ არსებობს, ხოლო რაც შეეხება გაჭირვებულთათვის შეღავათებს, ამას ადგილობრივი ხელმძღვანელობა ითვალისწინებს და ის თვეში 13-17 ლარს შეადგენს. კერძოდ: მკვეთრად შეზღუდული მდგომარეობის პირთა ოჯახები თვეში მიიღებენ 13 ლარს, 18 წლამდე შეზღუდული პირის ოჯახი, სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახები, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახები, მარტოხელა დედები, მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახები და მრავალშვილიანი ოჯახები (4-დან ზევით) ასევე მიიღებენ 13 ლარს. 13 ლარს მიიღებს სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელსაც ჰყავს 1 არასრულწლოვანი შვილი, ხოლო 17 ლარს მიიღებს ოჯახი, რომელსაც 2 ან მეტი არასრულწლოვანი შვილი ჰყავს. სასურველია, თუ ამ კატეგორიის ოჯახები ეცდებიან, ჩაეტიონ ამ ზღვრულ თანხებში, რათა არ დაუგროვდეთ დავალიანება.

ძვირფასო მკითხველო, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ადრე გამოვაქვეყნეთ ელექტროენერგიის ტარიფი 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით. განმეორებით კვლავ გთავაზობთ, რათა გაითვალისწინოთ თქვენი შესაძლებლობები, თვალყური ადევნოთ მრიცხველს და ჩაეტიოთ თქვენთვის მისაღებ თანხებში.

საშობაო ტარიფი დლგ-ს ჩათვლით:

1-ლი საფეხური (1-დან 101 კვტ. სთ-მდე) – 12,954 თეთრი.

მე-2-ე საფეხური (101-301 კვტ. სთ) – 16,931 თეთრი.

მე-3 საფეხური(301 -დან ზევით) კვტ/სთ 21,450 თეთრი

კომუნალური:

1-ლი საფეხური – 21.954 თეთრი.

კომერციული – (220- 380 კვტ.სთ) 19.796 თეთრი

10/6/3,3 კვტ.სთ. – 14. 964 თეთრი

110/35 კვტ.სთ – 13,572 თეთრი

ესაუბრა
ნაირა გორაშვილი

გიორგი კვირიკაშვილი - არის ყველა წინაპირობა, რომ მომავალ წელს კიდევ მეტი ეკონომიკური ზრდა იყოს

ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენმა მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ ტენდენცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ძალიან ჯანსაღია. არის ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა იყოს მომავალ წელს,– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსის“ მიხედვით, საქართველო მნიშვნელოვნად დაწინაურდა. კერძოდ, გასულ წელთან შედარებით, საქართველოს რეიტინგი 7 პუნქტით გაუმჯობესდა და ქვეყანამ მე-16 ადგილიდან მე-9-ზე გადაინაცვლა.

„მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით საქართველო უმაღლეს ათეულში მოექცა. ეს არის ძალიან დიდი წარმატება. მინდა ყველას მივულოცო. ეს არის ასევე მიზნამიმართული, ძალიან მნიშვნელოვანი მუშაობის შედეგი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში იქნა გაწეული, ძალიან ბევრი რეფორმის, რომელიც გატარდა და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის ინვესტიციების მოზიდვის, ახალი წარმოებების შექმნის, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ მსოფლიო ბანკის, არამედ სხვა ინსტიტუტების მიერ გაკეთებულ რეიტინგებში საქართველოს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმ ჯანსაღ ტენდენციაზე, რომელიც ქართულ ეკონომიკაში არსებობს. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ექსპორტის მიმართულების ზრდა. მოგეხსენებათ, რომ 28.5%-ით გაიზარდა ექსპორტი. ტურისტების ზრდის რეკორდული მაჩვენებელი გაქვს, უკვე შარშანდელ წლიურ მაჩვენებელს გადააჭარბა და 6,5 მილიონამდე ტურისტი შემოვიდა საქართველოში. ასევე გაზრდილია ფულადი გზავნილების მოცულობა. ეს არის ყველა ის ფაქტორი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, რომელიც უკვე დღევანდელი მონაცემებით შეადგენს 4.7%-ს და არის მართლაც ჯანსაღი ტენდენცია, რომელიც აუცილებლად აისახება ახალ ინვესტიციებში, ახალ სამუშაო ადგილებში. მესმის, რომ ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაში ეს ერთბაშად არ აისახება, რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის იცოდნენ, რომ ტენდენცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, არის ძალიან ჯანსაღი. არის ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა იყოს მომავალ წელს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება“, - განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, უამრავი პროექტია დაგეგმილი, რომელიც წელს ხორციელდება. მისივე თქმით, ინფრასტრუქტურის მიმართულებით წელს გვაქვს 36%-იანი ზრდა. „მომავალ წელს თითქმის გაორმაგდება შარშანდელთან შედარებით ინფრასტრუქტურის მიმართულებით დასახარჯი რესურსის ოდენობა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კერძო სექტორზე, მეწარმოებაზე, ახალ საწარმოებსა და ადგილობრივ წარმოებაზე აისახება, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის“, - განაცხადა კვირიკაშვილმა.

უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან 7 თვეში, იტალიაში შესვლაზე უარი საქართველოს 60 მოქალაქეს უთხრეს, საბერძნეთში - 56-ს, პოლონეთში - 53-ს, კვიპროსში - 49-ს

უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან 7 თვეში, შენგენის ზონის ქვეყნებში შესვლაზე უარი სულ საქართველოს 324 მოქალაქეს უთხრეს.

როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინიტრის აპარატიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, ყველაზე მეტი უარი საქართველოს მოქალაქეებმა იტალიისგან მიიღეს.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მონაცემები ასე გამოიყურება: იტალიაში შესვლაზე უარი უთხრეს - 60 მოქალაქეს, საბერძნეთში შესვლაზე - 56 მოქალაქეს, პოლონეთში შესვლაზე - 53 მოქალაქეს, კვიპროსში შესვლაზე - 49 მოქალაქეს, უნგრეთში შესვლაზე - 33 მოქალაქეს, გერმანიაში შესვლაზე - 26 მოქალაქეს, ლიტვაში შესვლაზე - 15 მოქალაქეს, ნიდერლანდებში შესვლაზე - 12 მოქალაქეს, ბელგიაში შესვლაზე - 9 მოქალაქეს, საფრანგეთსა და შვედეთში შესვლაზე - 3 მოქალაქეს, შვეიცარიასა და ესტონეთში შესვლაზე - 2-2 მოქალაქეს, ხოლო ესპანეთში შესვლაზე საქართველოს 1 მოქალაქეს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, უფრო მეტი უარი ქვეყნებში შესვლაზე მამაკაცებმა მიიღეს.

მონაცემები მოიცავს პერიოდს უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან, 2017 წლის 28 მარტიდან 2017 წლის 20 ოქტომბრამდე.

აღსანიშნავია, რომ 28 მარტიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში ევროკავშირის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით საქართველოს 161 885-მა მოქალაქემ ისარგებლა.

რიგგარეშე სხდომა გაიმართა

31 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. საკრებულოს წევრებმა განიხილეს და კენჭი უყარეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ ორ საკითხს. სხდომაზე წარმოდგენილი პირველი თემა დედოფლისწყაროში ახალი მუნიციპალური სერვისის, ,,ქალთა ოთახის" შექმნას შეეხებოდა. საკრებულომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს წინასწარი თანხმობა მისცა, რათა მან ორგანიზაციების, „მერსი/ქორფსისა" და ,,ჰექს/ეპერისგან" მიიღოს არაუმეტეს 15 000 ლარი გრანტის სახით. აღნიშნული თანხა მოხმარდება „ქალთა ოთახის" რემონტსა და ინვენტარით აღჭურვას.

სერვისი წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილ ღია სივრცეს, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს, მუნიციპალიტეტის სახელისუფლებო ორგანოებთან ურთიერთობაში და წაახალისებს მათ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

„ქალთა ოთახის" შექმნით ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას დამატებით საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობს, მისი საშუალებით ვიზიტორებს ასევე შეეძლებათ კომპიუტერითა და ინტერნეტით, საბავშვო კუთხით, ბიბლიოთეკითა და სხვა სერვისებით სარგებლობა.

საკრებულომ კენჭი უყარა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2017 წლის პროგრამის, ბიუჯეტის და რეალიზაციის ვადის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების 2017 წლის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №3-ე დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

ცვლილების თანახმად, დადგენილების დანართი 2-ის მეოთხე პუნქტის ა, ბ, გ, დ, ე, ზ, თ, ი და კ მუხლებიდან მოიხსნა ჯამში 5 000 ლარი, ხოლო მეოთხე პუნქტის ო ქვეპუნქტიდან 1 500 ლარი. აღნიშნული თანხები კი გადაუნაწილდა მეოთხე პუნქტის ვ (,,მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს ერთზე მეტი შვილი"), რ (,,ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე") და ტ ქვეპუნქტებს („სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება") .

ცვლილებების მიზეზი სამედიცინო მომსახურების დაფინანსების კუთხით მოქალაქეთა მომართვიანობის გაზრდა გახდა, რამაც აღნიშნულ მუხლში თანხების დეფიციტი განაპირობა. ქმედებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის

ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილება არ გამოუწვევია.

საქართველოს ბანკი VS მოსახლეობა

დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე ადგილობრივ მოსახლეობასა და „საქართველოს ბანკის" მიერ დაქირავებულ დაცვას შორის სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. სამი სოფლის, ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის მოსახლეობა თავდაპირველად ზემო ქედის ცენტრში შეიკრიბა. გლეხები ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვდნენ.

გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, მოსახლეობა წინა ხელისუფლების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების კერძო პირზე გაყიდვას აპროტესტებს. მათი თქმით, მიწების მეპატრონემ ქონება ბანკში ჩადო, დღეს კი ბანკი მიწების გაყიდვას გეგმავს. კუთვნილი მიწების დამუშავებისა და უკან გამოსყიდვის მოთხოვნით სამი სოფლის, ზემო ქედის, ქვემო ქედისა და არხილოსკალოს მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის შემდეგ კი შირაქის ველზე იმ ადგილას გადაინაცვლა, სადაც დაცვა ადგილობრივებს ხვნა-თესვის სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ აძლევს.

ქედების ზონის მაცხოვრებელთა მიწები 2010 წელს გასხვისდა, კომპანიამ 2012 წელს „საქართველოს ბანკში" იპოთეკით დატვირთა, 2016 წლიდან კი ბანკის საკუთრებაში გადავიდა. როგორც მოსახლეობა ამბობს, სიტუაცია დაძაბულია და იმ შემთხვევაში, თუ მიწების დამუშავების საშუალება არ მიეცემათ, შესაძლებელია, მომავალში სიტუაცია უკიდურესად გამწვავდეს. „საქართველოს ბანკს" აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარი არ გაუკეთებია.

მოსახლეობა საპროტესტო აქციას დილიდან მართავდა. აქციის მონაწილეების თქმით, ზემო ქედის, ქვემო ქედისა და არხილოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ყოფილმა ხელისუფლებამ კერძო პირზე გაყიდა, რომელმაც ერთ-ერთ ბანკში ჩადო და ამჯერად ბანკი მის გაყიდვას აპირებს. მოსახლეობა ამბობს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აღნიშნული მიწის ფართობს ყოველწლიურად ამუშავებდნენ, ახლა კი ბანკმა დაცვის კომპანია დაიქირავა და საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოების ჩატარების უფლებას არ აძლევს.

აქცია სოფელ ზემო ქედში სექტემბრის თვეშიც გაიმართა. როგორც გვახსოვს, ოცნების წინასაარჩევნო დაპირება იყო უკანონოდ ჩამორთმეული მიწების გამოსყიდვა და დაბრუნება, თუმცა, დაპირება დაპირებად დარჩა დღემდე. სოფელ ზემო ქედის და საერთოდ, საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის უმეტესობას ჩამორთმეული აქვთ მიწები.

„2010 წელს ეკონომიკის სამინისტრომ დილიჩის 1500 მდე ჰექტარი ჩამოგვართვა და შპს „ჯეო-აგროს" თითო ჰექტარი 750 ლარად მიჰყიდა, ზოგს 49 წლიანი ხელშეკრულებები გაგვიუქმეს,ზოგს არენდა ჰქონდა, ზოგს კი უკვე მოხნულ-დათესილი წაართვეს და მშივრები დაგვტოვეს. დიდი უსამართლობა მოხდა, ქედის მოსახლეობას ეგ მიწები ერთადერთ საარსებო წყაროდ გვქონდა. თუ არ დავიბრუნეთ, რით უნდა ვარჩინოთ ოჯახები? ჩვენივე მიწები „ჯეო-აგრომ" ჰექტარი 120 ლარად მოგვაქირავა, არადა, დაქირავება 87 ლარი ღირს. მაგრამ რა გვექნა, სხვა გზა რომ არ გვქონდა... შპს „ჯეო-აგრომ" საქართველოს ბანკს გადასცა ვალში, დღესაც არ ვიცით, ვინ დგას ამ შპს-ს უკან. მოარული ხმებით ყაზახეთში მოღვაწე ბიზნესმენს ეკუთვნისო. სამი სოფელი ფეხზე ვდგავართ, დილიჩაშიც ჩავედით, იქ დაცვა დგას, დაცვამ პოლიცია გამოიძახა, შეხლა-შემოხლაც მოგვიხდა დაცვასთან, ადგილობრივმა პოლიციამ გაანეიტრალა სიტუაცია, ზედ შევაკვდებით და ჩვენს მიწებს არ გავაყიდინებთ!" – ამბობენ აქციის მონაწილეები.

„ჩვენ ჩვენი პირობა გვაქვს, 4 ან 5 წელში დავამუშავებთ მიწებს და გამოვისყიდით ათას ლარში, ხვალ უნდა ჩამოვიდეს საქართველოს ბანკის წარმომადგენელი და გვითხრას პასუხი, ჩვენ სამი დღეა შევედით ტრაქტორებით და ვხნავთ მიწებს, იქ შესულს მაინც არავის გავახარებთ" – ამბობენ სოფლის მაცხოვრებლები.

საინტერესოა ისიც, რომ აქციაზე მოსახლეობის გვერდით იდგნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც. მოსახლეობის პრეტენზიებს სრულად იზიარებდა ზემო ქედში გამგებლის წარმომადგენელი ბეჟან სუხაშვილი. ის ამბობდა, რომ კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლება სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას გამოხატავს.

„დიდი დილემის წინაშე ვდგავართ, თავის მხრივ ბანკი ამბობს, რომ სამართლებრივ წინააღმდეგობაში არ არის და პრობლემა ისევ პრობლემად დგას. ჩვენ ხალხის გვერდით ვდგავართ, ადგილობრივი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, გლეხებს მხარში დაუდგეს, პირადად მე მათ ყველა აქციას შევუერთდი, მაგრამ რაიმე გამოსავალი უნდა მოინახოს, სხვა გზა არ არის," - აღნიშნავს სოფლის რწმუნებული.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამი სოფლის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ სოფლის მცხოვრებლებსაც ესაუბრა და ბანკსაც, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვას აპირებს, თუმცა უშედეგოდ.

„ჩვენ ვესაუბრეთ მოსახლეობასაც და ბანკის წარმომადგენლობასაც, თუმცა ამ დრომდე კონსესუსამდე ვერ მივედით. წინა ხელისუფლების პირობებში მართლაც გაიყიდა 3 600 ჰექტარი მიწა, თუმცა რამდენად კანონიერების ფარგლებში მოხდა, ეს სხვა საკითხია. მოგვიანებით, მოსახლეობამ შ.პ.ს „ჯეოაგროსგან" იჯარით აიღო აღნიშნული მიწის ფართი და დაიწყო მისი გამოყენება და ასე ხდებოდა დღემდე. იმედი გვაქვს, მოხერხდება ბანკთან შეთანხმება იჯარით გაცემის ან შედარებით დაბალ ფასად გამოსყიდვასთან დაკავშირებით. აქტიურად ვარ ჩართული, რომ მოსახლეობასა და ბანკს შორის შეხვედრა შედგეს", – განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

პარასკევს მოსახლეობამ თბილისში, „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ოფისთან საპროტესტო აქციას გამართა. იმავე დღეს მოსახლეობასა და ბანკის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა შედგა. მათთან ერთად ადგილზე იმყოფებოდა პარლამენტის წევრი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი ირაკლი შიოლაშვილი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი და დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. აქციაზე გამოჩნდა ამ სოფლის მკვიდრი, სასულიერო პირი, დეკანოზი გაბრიელ ბენიაიძეც.

როგორც პარლამენტარმა ირაკლი შიოლაშვილმა განაცხადა, ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობასა და ბანკს შორის შუამავლის როლს ასრულებს და მათი ადგილზე ყოფნა ამის დასტურია.

„აქ ვიმყოფებით, რათა გაირკვას, რა დათმობებზე წავა ბანკი, რა მინიმალური ფასი შეიძლება შესთავაზონ მოსახლეობას. შეხვედრის დასრულების შემდეგ გაირკვევა, ადგილობრივებისთვის იქნება თუ არა ეს წინადადება მისაღები. ახლა მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ როგორც გაირკვა, ბანკის სურვილია, ამ მიწის რეალიზება მოახდინოს" – აღნიშნავს ირაკლი შიოლაშვილი.

მოსახლეობა თავდაპირველად მიწის გამოსყიდვაში, ჰექტარში 1000 ლარის გადახდაზე თანახმა იყო, ამჯერად კი ბანკის წინ გამართულ აქციაზე ღიად ითქვა, რომ მოსახლეობა მზადაა, 1 ჰა მიწის ნაკვეთი 1 200 ლარად გამოისყიდოს. ახლა ისაა გასარკვევი, რამდენად დათანხმდება ბანკი მოსახლეობის შეთავაზებას. აქციის მონაწილეებმა ბანკს მოთხოვნები წერილობითი ფორმით გადასცეს. განაცხადი ბანკის დირექტორთა საბჭოს გადაეგზავნება, საბჭო საკითხს განიხილავს და ბანკის საბოლოო პოზიციას ადგილობრივებს მომავალ კვირას აცნობებს.

კომპანია „ჯეო-აგროს" თაღლითურ გარიგებებსა და დანაშაულებრივ საქმიანობაში კოალიცია „სახალხო ტრიბუნა" ადანაშაულებს. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მამისა ჯაფარაშვილი ამბობს, რომ კომპანიამ ეს მიწები ხელში არაკანონიერი გზით ჩაიგდო. მათივე თქმით, ქვეყნის მასშტაბით მიწების სოლიდური ნაწილი ჯეო-აგროს სიმბოლურ ფასად გადაეცა და მოსახლეობა მთავარი შემოსავლის წყაროს გარეშე აღმოჩნდა. ის ძალოვან უწყებებს სქემის გამოძიებას სთხოვს და სამართლიანობის აღდგენის იმედი აქვს.

„საჯარო რეესტრის მონაცემებით, კახეთის მიწების 70%-ზე მეტს ეს კომპანია ფლობს და სიმბოლურ ფასად აქვთ მიტაცებული. ჩვენი ორგანიზაცია დიდი ხანია მუშაობს ამ საკითხზე და ეს არის ოფიციალური მონაცემები. მოვითხოვთ, გამოძიებულ იქნას, რა გზებით მოხვდა ამ ოდენობის მიწა მათ ხელში. ყურადსაღებია ისიც, რომ 2010 წელს თავად სახელმწიფომ გადასცა, თუმცა რა დამსახურებისთვის, უცნობია," – აღნიშნავს ჯაფარაშვილი.

კომპანია „ჯეო-აგროს" დირექტორი ბესიკ ქავთარაძე ბრალდებებზე კომენტარს არ აკეთებს და მოსახლეობას ურჩევს, თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, სასამართლოს მიმართონ.

ილია მარტყოფლიშვილი

შვილის კეთილდღეობისთვის დაწყებული საქმიდან დიდ ბიზნესამდე

ქალის როლი სოციუმში მუდამ იყო, არის და იქნება მნიშვნელოვანი, ვინაიდან ცვლილებებსა და განვითარებაში მათ მნიშვნელოვანი როლი შეითავსეს სამყაროს დასაბამიდან დღემდე. მომავლისკენ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები დღემდე მკაფიოდ ეტყობა კაცობრიობის ისტორიის განვლილ გზას და თითოეულის ექო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამწუხაროა, რომ ჩვენში ქალები ძლიერები ხდებიან სწორედ მაშინ, როდესაც უკიდურესად უჭირთ, ან თავი დაღწიეს მამაკაცის მესაკუთრულ გარემოს. ბევრია მაგალითი, რომ ასეთი მანდილოსნები მართლაც მთებს დგამენ. უკიდურესი გასაჭირი და კრიტიკულ მდგომარეობამდე მისვლა მათ აძლიერებთ და უბიძგებთ, გახდნენ იმაზე ძლიერები, ვიდრე იყვნენ. ბევრმა შეძლო კენტად გამკლავებოდა შვილის აღზრდას და თავისი კარიერული წინსვლისთვისაც ეზრუნა. თუმცა, არიან კიდევ უფრო გამორჩეულები, რომლებიც წარმატებული საქმიანობით თავის ეკონომიკურ მდგომარეობასაც იუმჯობესებენ, სხვებსაც ასაქმებენ და თავის საქმით მთლიანად იმ საზოგადოებასაც ჩუქნიან კომფორტს, სადაც თავად ტრიალებენ. კონდიტერი **ირინა მერაბიშვილი** სწორედ ასეთ ქალთა რიცხვს განეკუთვნება. თავდადებული დედა, შრომისმოყვარე, ჰუმანური და თავისი საქმის პროფესიონალი. არცაა გასაკვირი, რომ ირინა მერაბიშვილმა „დედოფლისწყაროს ქალების“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში „დედოფლისწყაროს წარმატებული ბიზნეს ქალბატონი“-ს ნომინაციაში გაიმარჯვა. გთავაზობთ საკმაოდ საინტერესო ინტერვიუს ირინა მერაბიშვილთან.

-ირინა, მე ყოველთვის ბავშვობის წლების გახსენებით ვიწყებ ინტერვიუს ჩაწერას, თქვენც გექნებათ გასახსენებელი, როგორი ბავშვი იყავით, როგორ გარემოში გაიზარდეთ.

-ძალიან ლამაზი ბავშვობა გამოვიარე, ვიყავი ლაღი, თამამი, აქტიური, მებრძოლი. მთელს ჩემ ცხოვრებას რომ გადავავლო თვალი, ყველაზე ლამაზი ეტაპი ცხოვრებაში, ბავშვობა იყო. სულ მენატრება ის დრო, იმიტომ რომ ძალიან ლაღი, ძალიან ბედნიერი, უზრუნველი წლები მქონდა. მას მერე სულ ვწვალობ, რაც გამოვედი ბავშვობის ასაკიდან, სულ ვებრძვი ცხოვრებას. ამიტომაა ის წლები ტკბილად გასახსენებელი.

-რა უპირატესობა ჰქონდა თქვენს ბავშვობას და რითი უყო უკეთესი ის წლები დღევანდელი ბავშვების ცხოვრებისგან?

-მაშინ სხვა ცხოვრება იყო, სხვა მენტალიტეტი ფასობდა, ურთიერთობები იყო თბილი.სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტიც სხვანაირად იყო გამოკვეთილი. მაშინ ხალხი ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მდიდარი იყო, ფასეულობებიც სხვა იყო, ეხლა ბევრი რამ შეიცვალა, ვერ ვიტყვი, რა მოხდა, თუმცა, შეიცვალა.

-რა გზა გამოიარეთ დღევანდლამდე და ვინ არის დღეს ირინა მერაბიშვილი?

-სკოლის დამთავრებისთანავე იმავე ზაფხულს, დავიწყე მუშაობა აღმასკომში შიკრიკად და ძალიან დიდი სკოლა გავიარე ამით, მე მაშინ ძალიან კომპეტენტურ ხალხთან მომიწია მუშაობა, მათთან ურთიერთობამ ძალიან გამზარდა. აღმასკომის თავმჯდომარე იყო გუნჩენკო, ყველას კარგად ახსოვს, საკმაოდ კარგი პიროვნება და დაფასებული ადამიანი, ამასთან რაიკომის მდივნის შემდეგ, რაიონში მეორე კაცი იყო. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მერე წავედი წინ, ვიყავი კადრების ინსპექტორი, საქმეთა მმართველი, რამდენიმე ხნიანი მუშაობის შემდეგ, სამსახურის პარალელურად წავედი და ჩავაბარე გეპეიში სოციოლოგია-პოლიტოლოგიაზე, დავამთავრე, თან მუშაობას განვაგრძობდი, მალე გადავედი გამგეობაში არსებულ ენის პალატის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, მაგრამ შემდეგ, 2002 წელს გადავწყვიტე დედაქალაქში ცხოვრება, იმიტომ რომ ჩემი შვილისთვის შემექმნა ცხოვრების განსხვავებული პირობები, მინდოდა იგი გაზრდილიყო უფრო თავისუფალი და მიეღო კარგი განათლება. მინდა აქვე აღვნიშნო, დღემდე მაქვს მე ურთიერთობა ჩემს ყოფილ უფროსებთან, კოლეგებთან, ყველასთან, სადაც კი მიმუშავია, ისეთი კეთილგანწყობა, ისეთი დიდი სითბო არსებობს ჩვენს შორის, მაგრამ მე ყოველთვის უფრო ჩრდილში დგომას ვამჯობინებდი და დღემდე ესეთი ვარ. არ მიყვარს ჩემი პიროვნების გამომზეურება, რომ მე ან ეს მინახავს, ან ეს გამივლია, ან ეს გამიკეთებია, ან რომელიმე ადამიანებთან ურთიერთობა მქონია. უფრო თავმდაბალი პიროვნება ვიყავი.

-რატომ წახვედით რაიონიდან, თუკი ასეთი რეალიზებული იყავით, რა იყო ის, რაც აკლდა მაშინ რაიონს იმისთვის, რომ ამ გარემოში კარგი აღზდა და განათლება მიგეცათ შვილისთვის?

-იცით, იმ დროს უფრო დიდი სხვაობა იყო რაიონსა და ქალაქს შორის. დღეს მე რაიონს რა თვალითაც ვუყურებ, ძალიან დიდი სხვაობაც აღარ არის, იმიტომ რომ ყველა საშუალებაა, რომ აქაც განვითარდეს ბავშვი - სპორტი, კულტურაში უამრავი წრეა, მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლია, ყველაფერი აქტიურად მუშაობს. მაშინ ყველაფერი ჩამკვდარი იყო, ძალიან არასასურველი წლები იყო. თბილისში ბავშვი დადიოდა სიმღერაზე, პარალელურად ემზადებოდა მოსწავლეთა სასახლეში, მე არ მინდოდა რაიონში გაეგრძელებინა ცხოვრება, სულ შიშში ვიყავი, თანაც ამას ჩემი პირადი ცხოვრების ისეთი მძიმე წლები დაემთხვა, რომ აქ ყოფნა ჩემთვის მტკივნეული იყო.

-რა შემართება გქონდათ, საიდან გაჩნდა იდეა, რომ ეს ბიზნესი წამოგეწყოთ. ყველამ იცის, რომ თქვენ თბილისში საკმაოდ კარგად აწყობილი ბიზნესი გქონდათ, რატომ არჩიეთ ისევ რეგიონი?

-ბოლოს, სანამ წავიდოდი, როდესაც ენის დეპარტამენტში ვმუშაობდი, აქ მქონდა 60 ლარი ხელფასი, ეს იმ დროს, როდესაც გამგეობის თანამშრომლებს ჰქონდათ 15 და 20 ლარი ხელფასები, 60 ლარი მაშინ კარგი ხელფასი იყო რაიონის კვალობაზე, მაგრამ მე ამით ქალაქში ვერ ვიცხოვრებდი, ამიტომ ჩავედი ლევან ღვინჯილიასთან და დავწერე განცხადება, რადგან ჩემი პირადი საქმე უნდა წამომელო. მან ძალიან მთხოვა, რომ იქნებ კიდევ დავფიქრებულიყავი და არ წამოვსულიყავი სამსახურიდან, მაგრამ მე ფაქტიურად ამ მცირე ხელფასით ბავშვს ვერ შევინახავდი, ამიტომ ვეძებდი ისეთ სამუშაოს, რომელიც ჩემი შვილის კვების და გათბობის საშუალებას მომცემდა თბილისში. სამსახურს ჩემი ბავშვობის ჰობის მიხედვით, საკონდიტროებში ვეძებდი. მეშვიდე კლასში ვიყავი, რომ ეთერ დათუკიშვილის ქორწილისთვის დიდებული ტორტი გამოვაცხე. ზოგადად მინდა ვთქვა, რომ ისე მიყვარს ჩემი საქმე, ყოველდღიურად მე თუ ამ საქმესთან შეხება არ მაქვს, ცუდად ვხდები. დავდიოდი კერძო დასაქმების სამსახურებში, იქ მომინახეს საკონდიტროში დღეში 5 ლარად სამუშაო. დავიწყე მუშაობა, ძალიან ცოტა იყო ეს თანხა, მაგრამ ეს გარანტია იყო იმის, რომ მე იმ დღით საწვავს ვიყიდდი და შვილი მშიერი არ მეყოლებოდა. ასე დავიწყე. მერე ვაკეში იხსნებოდა დიდი საკონდიტრო, სადაც შემომთავაზეს მუშაობა, თუმცა, როდესაც მივედი და შემხედეს, რას ვაკეთებდი და როგორ, ერთ კვირაში დამიძახეს უფროსებმა და მითხრეს, შენ უნდა ჩაგაბაროთ ეს საკონდიტროო, შენ იქნები მთავარი კონდიტერიო, ანუ შვიდი ქალი იყო ღამის სმენაში და რვა ქალი გახლდათ დღის სმენაში, მე დამევალა, მათთვის ჩემი რეცეპტურით კურირება გამეწია და სხვათაშორის, ძალიან წარმატებული გამოდგა ეს ბიზნესი. ცნობილი იყო ჩვენი საკონდიტრო ქალაქში, რვა წელი ვამუშავე ძალიან წარმატებით. ეს გახლდათ საკონდიტრო კაფე „დელმარი“ ფალიაშვილის 53-ში.

-რამ გადაგაწყვეტინათ დედოფლისწყაროში ჩამოსვლა და აქ თქვენი შესაძლებლობების მოსინჯვა?

-რვაწლიანი მუშაობის შემდეგ, „დელმარის“ მეპატრონეებს ქონებრივად მოედავა სახელმწიფო, მოხდა ისე, რომ ისინი იძულებულები გახდნენ, ოფისი გაექირავებინათ, მე და ჩემმა მენეჯერმა ვიქირავეთ, ვიხდიდით 3000 დოლარს და ვამუშავებდით ასეთივე წარმატებით. თუმცა, რაღაც მომენტში ბათუმში გადავწყვიტეთ ფილიალის გახსნა. ბათუმის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. დავიწყე ისევ ახლიდან და ვარკეთილი- ვაზისუბნის გადასახვევში გავხსენი საკონდიტრო. ნორმალურად ვიყავით, მაგრამ ბოლოს მშობლიურმა კუთხემ სძლია, მშობლებმაც მთხოვეს, ჩამოვსულიყავი და აქ მეკეთებინა ეს საქმე. დედაჩემს და მამაჩემს 4 შვილი ჰყავთ და არცერთი არაა საქართველოში, სულ მსაყვედურობდნენ, რომ დედამიშვილები საბერძნეთში არიან, 20 წელი იქ ცხოვრობენ, 4 შვილი გავზარდეთ, არავინ არ არის ჩვენთანო. ესენიც უკვე ასაკში არიან და მთხოვდნენ, რომ აქ ჩამოდი, ხალხი გიცნობს და აქ გააკეთე, რასაც მანდ წვალობო. დროებით, საცდელად ჩამოვედი, ღმერთის წყალობით მოხდა ისე, რომ კმაყოფილი ვარ, გავზარდე ჩემი წარმოება, უკვე ობიექტიც შევისყიდე და კიდევ გაფართოვებას ვაპირებ.

-გარდა ამისა, თქვენს წარმოებაში დასაქმებული გყავთ ადამიანები, რომლებსაც უხდით ხელფასს და ეს ნამდვილად დასაფასებელია.

-ქალები ჩემთან ხმამაღლა ამბობენ, რომ ძალიან დიდი მადლობლები ვართო, არ გვეშინია ის, რომ გადასახედების გადახდა გვიწევსო, არ გვეშინია, რომ ჩვენი შვილები მშივრები იქნებიანო. კმაყოფილები არიან. მე ვერ ვიტყვი, რომ ამით გამდიდრდებიან და მანქანებს იყიდიან, მაგრამ სერიოზულად კმაყოფილები არიან.

-მუდმივად სიახლის ძიებაში, მუდმივად სილამაზეების შექმნაში ხართ, რა ითხოვს ამას, ბაზარი თუ, თქვენ სთხოვთ საკუთარ თავს?

-ეს კლიენტურიდანაც გამომდინარეობს, იმიტომ რომ, რაიონში ვხედავთ, აშკარად პროგრესია- შედარებით გაიზარდა კონკურენცია, ადრე სულ სხვა დრო იყო და სულ სხვა დროა ახლა, კლიენტსაც აქვს უკვე გემოვნება ჩამოყალიბებული, მან იცის უკვე, რა ურჩევია და რა უნდა იყიდოს, რომ შეიძლება პატარა იყოს მოცულობით ნამცხვარი და იყოს უგემრიელესი, ვიდრე მოზრდილი ნაჭერი და იაფი . ამას კლიენტი გრძნობს, ხედავს და აფასებს. ახლახანს გავიარე ლამაზი ვარდების შექმნის ახალი კურსი, ჩამოსული იყო ძალიან ცნობილი რუსი კონდიტერი. რომელმაც შეგვასწავლა ულამაზესი ყვავილების გაკეთება. სულ მალე ფრანგი კონდიტერი ჩამოდის, ჩაწერით ხდება მასთან კურსის გავლა, მაგრამ სერიოზული თანხები ღირს. რუსი კონდიტერის იმ ერთდღიან კურსზე გადავიხადე 200 დოლარი. ამჯერად ფრანგ კონდიტერთან უნდა გადავიხადო 500 დოლარი, უნდა გავიარო ერთთვიანი კურსი. ფრანგ კონდიტერს ძირითადად შოკოლადზე აქვს მასტერკლასები. პარალელურად თბილისში კიდევ ერთ ადამიანთან ჩავეწერე - სამარხვო ნამცხვრების სეზონი მოდის და ამისთვის სიახლეებია საჭირო.

-რაც შეხება თქვენს საფირმო ნამცხვრებს, რომელსაც თბილისშიც ნახულობდნენ ადამიანები და აქაც აკითხავენ, რას გვეტყვით?

-არის საფირმოები, მაგრამ მე უფრო ძვირფასი ნამცხვრებიც მაქვს და ტორტებიც, რომელიც საკმაოდ ძვირი ჯდება და იქიდან გამომდინარე, რომ რეალიზება აქ ვერ იქნება თბილისის მსგავსი, არ ვამზადებ. თბილისში მე მქონდა საფირმო ტორტი ჩემი შექმნილი „დელმარი“, ეს იყო ძალიან პატარა ტორტი, მაგრამ ღირდა 40 ლარი და ისეთი მოთხოვნა იყო მასზე, რომ გაკეთებას ვერ ვასწრებდით. ის ტორტი მე აქ გავაკეთე ორჯერ, მაგრამ არ გავიდა, რადგან პატარა იყო და მყიდველს ეძვირა, მაგრამ ის იყო სულ მთლიანად მაღალხარისხიანი შოკოლადით შექმნილი.

-ეთანხმებით თუ არა, გამონათქვამს, -„გამოცდილება ნიშნავს გამდიდრებას დაკარგვის მეშვეობით“?

-აბსოლუტურად ვეთანხმები.

-ირინა, რა სჭირდება ქალს იმისთვის, რომ ის შედგეს , როგორც ძლიერი ქალი?

-ძალიან დიდი შრომაა საჭირო და იღბალიც. ამხელა შრომამ მიმიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ რაღაც რაღაცეები იყო ჩემს ცხოვრებაში, რამაც ძალიან დამთრგუნა ჩემს პირად ცხოვრებაში და უფრო გავძლიერდი ამით. რაც არ კლავს, აძლიერებსო, ხომ გაგიგიათ. ახლაც ასეა, რაც უფრო ვგრძნობ ვიღაცის შუღლს, ვიღაცის მტრობას ჩემს მიმართ, მით მეტად ვძლიერდები. ძალიან მწამს უფლის, ძალიან მჯერა, რომ ის მუდამ ჩემს გვერდითაა.

- არსებობს თუ არა დღეს საქართველოში ბიზნესის წარმოებისთვის ხელშემწყობი პირობები?

-კარგია რომ ხორციელდება ბიზნესისთვის ხელისშემწყობი პროექტები, მაგალითად „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში პროექტები. მართალია, მონაწილეობა მივიღე და ვერ გავიმარჯვე, მაგრამ მე მაინც გულს არ ვიტეხ და ჩემი ძალებით ვცდილობ, თავად გავუმკლავდე ყველა გამოწვევას.

-ამბობენ, ყველაზე დიდი პროფესია ადამიანიაო, როგორი ადამიანი ვერ იქნებოდა თქვენს გვერდით?

-ფუქსავატი ადამიანი არ მიყვარს. თუ ადამიანს შრომა არ უყვარს, ის ჩემს სიმპათიას ვერ დაიმსახურებს. კეთილსინდისიერს, რომელსაც უნდა შრომა და ჩემი შრომის ფასს გაითავისებს,მხოლოდ ასეთი ადამიანი იქნება ჩემს გვერდით. ადამიანს უნდა ესმოდეს ჩემი და ვენდობოდე.

-ბიზნესმენებს აქვთ შორსმჭვრეტელი თვალი, ალღო, მათ შეუძლიათ მომავლის პროგნოზირება. თქვენ როგორ ხედავთ ქვეყნის მომავალს, ამ რაიონის მომავალს?

-საით წავალთ?- რა თქმა უნდა, უფრო განვითარებისკენ. მე არც ველოდი, რაიონში თუ ასე კარგად წავიდოდა სიტუაცია. აქ რომ მოვდიოდი, ისეთი მდგომარეობა მქონდა, ლამის სახლი გავყიდე თბილისში. ახლა ვხედავ, რომ ნამდვილად წინ მიდის ცხოვრება.

-მშობლებზე რას იტყვით, რა როლი შეასრულეს მათ თქვენს პიროვნებად ფორმირებაში?

-დედა და მამა ძალიან მშრომელი ადამიანები იყვნენ. ჩვენ არაფერი არ მოგვკლებია, დედა ფოსტაში მუშაობდა, მამაჩემს სულ რესტორანი, სასადილოები ჰქონდა, იყო მზარეული, მაღაზიაც ჰქონდა. კეთილსინდისიერი მშობლები მყავს.

-რას იტყვით შვილზე და შვილიშვილებზე?

-მყავს ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი. 13 წლის შვილიშვილი ბიჭი და 4 წლის გოგონა. ბიჭი კარგად მღერის, დადის სტუდია “გვირილაში”, ცურვაზე, სკოლაში საუკეთესო ოთხეულშია. ჩემი ვალია, კარგად ვიმუშავო და ხშირად მოვესიყვარულო მათ, იმიტომ, რომ ისინი არიან ჩემი სულის ნაწილები, მათით ვხარობ.

-თქვენი 50 წლის იუბილე და ბოშური ცეკვის ამბავი ლეგენდად მოედო მთელს რაიონს. მოგვიყევით ეს ამბავი გთხოვთ.

-(იცინის)ბავშვობიდან მიყვარდა ცეკვა, ვცეკვავდი ახალგაზრდობაშიც, ჩემმა საახლობლომ ყველამ იცოდა, რომ ძალიან ლამაზად გამომდიოდა ბოშური. ამიტომ, თუ სადმე წვეულებაზე ვიყავით,მუდამ მთხოვდნენ, რომ მეცეკვა და მეც სულ ვცეკვავდი, მაგრამ, რაღაც პერიოდი ჩავთვალე, რომ ამ წლებმა გაიარა. 50 წელი პატარა ასაკი არაა ქალისთვის, ნახევარი საუკუნეა და მივიჩნიე, რომ ვიმსახურებდი 50 წლის იუბილეს! ამ საღამოზე 80 ადამიანი შეიკრიბა. მოვიწვიე ძველი სამსახურიდან დაწყებული, დღევანდლამდე ყველა თანამშრომელი და ახლო ნათესავი . გამოვიდა კიდეც ამდენი. სწორედ ამ სუფრაზე მამაჩემმა, რომელსაც ძალიან უყვარდა ჩემი ცეკვა, მთხოვა, იუბილეზე მეცეკვა ბოშური. მამას ხათრი ვერ გავუტეხე, ვიცეკვე და რომ დავამთავრე მოწვეული საზოგადოების თითოეული წევრი ფეხზე იდგა და ტაშს მიკრავდა. აქვე მადლობა უნდა გადავუხადო ჩემს მშობლებს იმისთვის, რომ არიან ისეთები, როგორებიც არიან. მე ბედნიერი ვარ, რომ კარგი მშობლები მყავს, რაიონში იცნობენ ჩვენს ოჯახს, როგორც წესიერს, მშრომელს, სტუმართმოყვარეს. თუ ვინმე ჩამოდიოდა რაიონში, მე რომ გამგეობაში ვმუშაობდი, ყველამ იცის, რომ ჩვენთან იშლებოდაგრანდიოზული სუფრა. სტუმარ-მასპინძლობის კულტი სულ იყო ჩვენთან და ეს კარგად იცის საზოგადოებამ.

-თქვენ „დედოფლისწყაროს ქალების“ და დედოფლისწყაროელი ხალხის მიერ დასახელდით, როგორც ძლიერი ქალი და წარმატებული ბიზნეს ლედი, რას ნიშნავდა ეს ჯილდო თქვენთვის?

-დიდი სიხარული და დაფასებაა, რა თქმა უნდა. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ასე ჩათვალა. ყველა მიყვარს, ყველას პატივს ვცემ და ჩემს მაქსიმალურ შრომას ვდებ- დილის 8 საათიდან ღამის 11 საათამდე აქ ვარ. თითოეულ ადამიანს თვალებში ვუყურებ, ხელებში ვუყურებ, ვინ რას აკეთებს,როგორ აკეთებს, რომ რაიმე ლაფსუსი არ გაიპაროს და ხალხი მადლიერი იყოს.

-წარმატება მინდა გისურვოთ ირინა და დამერწმუნეთ, ხალხის სიყვარული, რომელიც თქვენდამია მომართული, ნამდვილად შეძლებს წაშალოს ყველა ის ტკივილი, რაც თქვენს სულს დასჩნევია ოდესმე ლაქად.

ლალი მეხრიშვილი

ფეხბურთელი და ცისარტყელასფერიანი სამკლავური

ზოგჯერ პატარა, უმნიშვნელო რამესაც შეუძლია, მყუდროება დაარღვიოს ქვეყანაშიც და ადამიანის ცხოვრებაშიც. 30 წლის ქართველი გურამ კაშიას შემთხვევაში, ეს ცისარტყელასფერიანი კაპიტნის სამკლავური გამოდგა. ამ ფაქტმა საზოგადოება ორად გაყო: ფეხბურთელის დამცველებად და მის მოწინააღმდეგეებად. მაინც რა არის ეს ფერადი სამკლავური-ძალადობის აღკვეთის თუ ლგბტ-ს მხარდამჭერი ნიშანი?

„ეს არის სექსუალური უმცირესობების მიმართ ძალადობის აღკვეთის ნიშანი, მაგრამ ქართველი გულშემატკივრების და ჟურნალისტების ნაწილს არ მოსწონს. არადა, ასეთი მხოლოდ კაშია არ ყოფილა, ყველას ეკეთა იმ დღეს სამკლავური: ჰოლანდიის პირველ და მეორე დივიზიონში, ქალთა საფეხბურთო გუნდებშიც და ზოგიერთი ბავშვთა კლუბიც შეუერთდა ამ წამოწყებას.

გურამ კაშია, კაკლისსხეულის მქონე კაცი და მოწითალო ყავისფერში გადასული წვერის მქონე ადამიანი, ყოველთვის იმსახურებდა პატივისცემას თავის სამშობლოში მისი თამაშით, როგორც სერხიო რამოსისა და სოკრატისის მსგავსი კავკასიური ნაზავი. ის არის საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი და ის ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით თამაშობდა.

15 ოქტომბერი არის დღე, როდესაც ქართველი ხალხის-დამოკიდებულება თავის კერპზე შეიცვალა: ზოგიერთმა გულშემატკივრობა დაასრულა პატარა სამკლავურის ტარების გამო, სხვებისთვისკი სწორედ ეს იყო კაშიას გმირობის დასაწყისი.

ამ დღეს ქართველი ქომაგი ორად გაიყო. ნაწილი თვლიდა, რომ სექსუალური ორიენტაცია - ეს ადამიანის პირადი საქმეა და მათ არანაირი პრობლემა-არ ჰქონიათ კაშიას ქმედებაზე; ხოლო მეორე ნაწილისთვის ეს იყო ქართული ღირებულებებისღალატი.

ამის გასაგებად, უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობა, ქვეყანა, რომელიც ევროპისა და აზიის საზღვარზეა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის წევრია, რომლის ლიდერი პატრიარქი ილია მეორე ჰომოსექსუალობას დაავადებას უწოდებს. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არის ანტიდისკრიმინაციული კანონი.

საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, 93% ჰომესექსუალიზმის წინააღმდეგია. მიუხედავად ამისა, სექსუალური უმცირესობების მიმართ თავდასხმები დაბალია.

გურამ კაშიამ სამკლავურის გამო მომხდარი აჟიოტაჟი ძალიან განიცადა. მას უამრავი სიძულვილით გაჟღერებული კომენტარი მიუძღვნეს. ყოველივე ამის შემდეგ ლევან კობიაშვილმა, რომელიც არის ბუნდესლიგის ყოფილი ლეგიონერი და საქართველოს ფეხბურთისფედერაციის პრეზიდენტი, ღიამხარდაჭერა გამოუცხადა კაშიას და განაცხადა, რომ სპორტი ყველა ადამიანისთვის უნდა იყოს ღია“-წერს გერმანული გამოცემა „შპიგელი“.

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ვიცეკაპიტანთან, გურამ კაშიასთან დაკაშირებული სკანდალი არ ცხრება. კაშია კლუბ „ვიტესის” მცველია და ჰოლანდიაში ერთ-ერთ მატჩზე LGBT თემის მხარდამჭერი სამკლაურით წარდგა. ამ სამკლაურის გამო ის ფეხბურთის არაერთმა გულშემატკივარმა გააკრიტიკა და „ფეისბუქზე“ დაიწერა პოსტები იმის თაობაზე, რომ კაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი არ უნდა იყოს. ფეხბურთელი ამ შეფასებებს ტელევიზიით, ერთ-ერთი ჰოლანდიური არხისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ის ადამიანის უფლებებს ყოველთვის იცავდა, მათ შორის ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვას, რომ ის კვლავ თავის აზრზე რჩება და განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობსგულშემატკივრების განცხადებებს. საქართველოში ფეხბურთელის მხარდამჭერი განცხადებებიც გაკეთდა. ის კოლეგებმა, ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დაიცვეს, რისთვისაც კაშიამ მათ მადლობა გადაუხადა.

განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა „ქართული მარში“, რომელიც ფეხბურთელის საქციელის მიმართ შეუწყნარებელი იყო. მოძრაობის წევრები გააღიზიანა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოზიციამაც, რომელიც კაშიას იცავდა, განსაკუთრებული აქცენტი კი ლევან კობიაშვილზე გაკეთდა. „ქართული მარშის“ წევრებმა ის ძალადობასა და მუქარაში დაადანაშაულეს და ბოდიშის მოუხდელობის შემთხვევაში, ფეხბურთის ფედერაციის შენობის ლგბტ ფერებში შეღებვით დაიმუქრნენ. ამასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა ლევან კობიაშვილმა.

„მოგესალმებით. სამწუხაროა, რომ მიწევს გამოვეხმაურო „ქართული მარშის“ აბსურდულ განცხადებას. განვმარტავ საზოგადოებისთვის, რომ შეხვედრაზე საერთოდ არ იმყოფებოდა ის ოთხი ადამიანი, ვინც დღეს ბრიფინგი გამართა. მემათ არ ვიცნობ და არასოდეს შევხვედრივარ.

გია კორკოტაშვილთან და სანდრო ბრეგაძესთან შეხვედრაზე, ჩემი მხრიდან მსგავსი ტიპის მუქარა (სიცოცხლის მოსპობა, მუხლების დახვრეტა, მიწაში ჩადება და სხვ.), რასაკვირველია, არ გაჟღერებულა, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები ძალადობის ნებისმიერიფორმით გამოვლინების წინააღმდეგი ნებისმიერი ადამიანის მიმართ.

პატივისცემით, ლევან კობიაშვილი”.

ინგა გრიგოლავა, **ფილოსოფოსი, ბერლინში მცხოვრები ქართველი** - 82 მილიონიან გერმანიაში 90 ათასი ჰომოსექსული წყვილი არსებობს მხოლოდ, 180 000 ადამიანი, ანუ მოსახლეობის დაახლოებით, 0, 22 პროცენტი. აქ არავინ არავის არაფერს არ უმალავს, არის ადამიანი ჰომოსექსუალი? ცხოვრობს, როგორც ასეთი. არც მეზობლის, არც ბრიყვი ადამიანების არ ეშინიათ.

საქართველოშიც ანალოგიური შესაბამისობა იქნება, ეს ზოგადი კანონზომიერებაა და იმიტომ.

სატირალი ისაა, საზოგადოება რომ უკიდურესად სასტიკია და ანტიადამიანური. და ადამიანურობის ასეთი გამოვლინებები ათასში ერთირომ არის, ხილად. ჰუმანიზმი არის ის, რაც მიგაღებინებს განსხვავებულს, მაგრამ ადამიანს, რა ფერისაც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც, მუქი გეჩვენებოდეს, ან ძალიან ნათელი, თვალს რომ გჭრის, ისეთი.

რასიზმი, ან ჰომოფობია ადამიანურობის დეფიციტის გამოვლინებაა, ადამიანურობის შინაგანი კრიზისისმახინჯი ამოძახილი“.

მამუკა ბეჟანიშვილი-კაშიას მარტოს რომ გაეკეთებინა სამკლავური, მაშინ არ გამიკვირდებოდა ხალხის აღშფოთება. მაგრამ, რა ექნა? წამოსულიყო კლუბიდან და სარფიან კონტრაქტზე უარი ეთქვა? რა ადვილი სათქმელია. სხვის ომში ყველა ბრძენია. კაშია რომელიც თავისი შრომით ემსახურება ქვეყანას დაარჩენს ოჯახს, არის ცუდი და ის სამი არამზადა, რომელმაც საბერძნეთში 85 წლის მოხუცი ქალი დააუთავა და მოჭრა თავი საქართველოს, კარგიტიპები?

აგრესია და ძალადობა დაბალგანვითარებული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. თუკი გვინდა, რომ ღირსეული ქართველები და მართლმადიდებლები ვიყოთ, იესო ქრისტეს მცნებები გავითავისოთ და ის ფრაზაც გავიაზროთ, რომელიც მაცხოვარმა მეძავის დასაცავად თქვა: „პირველმა იმან ესროლოს ქვა, ვინც უცოდველიაო”... ყველანი ბუნების შვილები ვართ, თანაბარი უფლებებით, ყველას თავისი ჯვარი აქვს-ზოგს მძიმე, ზოგს-გაცილებით მსუბუქი. ვინ როგორ შეძლებს მის ტარებას, ესაა მნიშვნელოვანი... ადამიანებმა თითოეულ ჩვენგანს მძიმე ჯვარის ტარება უნდა შევუმსუბუქოთ სიყვარულითა და მიტევებით, და არა აგრესიითა და სიძულვილით.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„დედამიწა დიდია“

2 ნოემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი „დედამიწა დიდია“ ეთნიკურ უმცირესობებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ სოფ.ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში კონკურსები ხშირად ტარდება, მაგრამ ეს პაექრობა ცოტა გამორჩეული და უჩვეულო იყო იმით, რომ იგი იყო არა გუნდური, არამედ ინდივიდუალური. გუნდური თამაში ბევრად ადვილია, აქ კი ბავშვები მხოლოდ საკუთარი თავის იმედად თამაშობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ქართული ენაც არ არის მშობლიური და კითხვები კი ქართულად ისმებოდა, მაინც მშვენივრად გაართვეს თავი დასმულ კითხვებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხორნაბუჯის სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გიორგი მუჟიჩენკო, რომელმაც კითხვას სწორად გასცა პასუხი და პირველი ადგილიც დაიმსახურა. მეორე ადგილზე გავიდა ნიკა მკრტიჩიანი (ხორნაბუჯის სკოლიდან). მესამე ადგილები კი გაიყვეს ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლემ ალბერტ ერემიანმა და №2 სკოლის მოსწავლემ მიხეილ ბაღდასარიანმა. ჟიურის სიმპათიები დაიმსახურეს ჟანა მულიგინამ (ხორნაბუჯის სკოლა) და პეტრე პროშჩევმა (№2 სკოლა). მარინა მულიგინას გადაეცა მადლობის ფურცელი.

ღონისძიება ძალიან საინტერესო იყო და საჭირო საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისთვის. აუცილებელია ხშირად მოეწყოს ასეთი ღონისძიებები, რათა მათ უკეთ შეძლონ ქართულად მეტყველება და აზროვნება. ბავშვები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ და კიდევ მოითხოვეს მსგავსი ღონისძიებების ჩატარება.

კონკურსს აფასებდა ჟიური. კონკურსის ხელმძღვანელი და წამყვანი იყო თამარ აბულაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები და პედაგოგები.

კვლავ წარმატებულ მუშაობას ვუსურვებთ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებს.

პოეტი, კირითხურო და უბადლო ქართველი

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი რაიონის ღირსეული შვილი, კარგი მამულიშვილი, კირითხურო, პოეტი, ჩვენი რაიონის არაერთი ტაძრის ამშენებელი ზაურ გონაშვილი ჩვენს რიგებს გამოაკლდა. ერთი წელი შესრულდა, რაც ის მეგობრებს და ახლობლებს, სრულიად დედოფლისწყაროს დააკლდა. ადამიანი, რომელიც მამულის



სიყვარულში ლექსით ხმალივით ჭრიდა და ფარად ეფარებოდა, ისევ და ისევ სამშობლოს სიყვარულში გათავდა. აკი, სიკვდილის წინ წერდა კიდეც: არ იფიქროთ, რომ გულმა მიმტყუნა, თქვენს სიყვარულში გავთავდიო. სწორედ ასეთ მამულიშვილის სახელს დავიწყებას არასოდეს მისცემენ მისი მეგობრები და აი, არქიტექტორის და ასევე დიდი მამულიშვილის - სერგო ქართველიშვილის თაოსნობით მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, პოეტის ხსოვნის პატივსაცემად დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საღამო გაიმართა. „ბატონმა სერგომ თქვა: მე ჩემს მეგობარს ერთი წლის თავი რომ არ ავუღნიშნო შეხვედრით და მისი გახსენებით, არ შემიძლიაო და, ჩვენც, რაღა თქმა გვინდოდა, გვერდში დავუდექით. აქ რაც არის, მისი შენდობის სათქმელად, ყველა ხარჯი ბატონის სერგოს მიერაა გაწეული. მათთან ერთად ჩვენ, მუზეუმის თანამშრომლები პატივს მივაგებთ ზაურის ხსოვნას, როგორც კარგ ქართველ კაცს, რაიონის და მამულის წინაშე ვალმოხდილს, ქიზიყურ პოეზიაში უტოლოს.ზაურმა, გარდა იმისა, რომ დაგვიტოვა ლამაზად გაშენებული სოფლები და ტაძრები, დაგვიტოვა დიდი მემკვიდრეობა თავისი ლექსების სახით.“-აღნიშნა მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა.

ზაურ გონაშვილმა გულის ბოლო წვეთიც გამოიწურა სამშობლოსთვის. ის თავის ფიქრებით და სტრიქონებით მუდმივი ბრძოლაში იყო საქართველოს მომხდურთან. ერკინებოდა ჩვენს მტერს და მამულს სანთლად ენთებოდა. ზარივით რეკავს მისი სიტყვები:

„თუ ვერ გაგიჭერ ხმალივით,
თუ ვერ გიფარე ფარადა,
თუ ვერ დავრეკე ზარივით,
ვეფხის და მოემის ბალადა,
თუ ვერ გავწიე უღელი,
თუ ვერ ვიარგე ხარადა,
თუ მომხდურს ვერ გავუძელი,
შემომივარდა ძალადა,
თუ დამილახა მამული,
მტერმა შემდგარმა შარადა,
ვეღარ ვივარგო ზაურიმ,
სამშობლოს დასაცავადა
მაშინ დამწყევლე, გამჩენო,
მიმაგდე სადმე მჩვარადა,
მტრის თვალებს რომ არ ვეჩვენო,
გულისა გასახარადა.“

შეუდარებელია მისი კაფიები მეუღლის მიმართ დაწერილი.

„ბევრი ლამაზი მინახავს,
ქვეყნად ამრავლოს ლამაზი,
აურილი როგორც ლერწამი,
მოქნილი როგორც გავაზი.
მაგრამ შენ სხვა ხარ მზის დარო,
შენ ყველას გადაამეტე,
თავი დახარე, უღმერთოვ,
თვალები რომ მომაფეთე.“

ალბათ ხორნაბუჯის ციხეისთვის ასეთი ქება არავის მიუძღვნია.

„ხორნაბუჯივით მაღალი,
ხორნაბუჯივით ერთგული,
ხორნაბუჯივით მაგარი,
ქვეყნის უღელში შებმული.
ხორნაბუჯივით ძლიერი,
ბუნების ქმნილი კედელი,
მამულის ბურჯად დამდგარი,
სიმაგრე გაუტეხელი,
ხორნაბუჯივით ბებერი,
მუდამ სიკეთის მჭედელი,
ხორნაბუჯივით მტერთათვის
კარები გაუღებელი.
ვდგავარ მამულის დარაჯად,
მტერთა ურჩი და უჯერი,
მათი მიზნების დამქცევი,
ზაური ხორნაბუჯელი“.

და მაინც ზაურ გონაშვილის ამოსავალი წერტილი და ცხოვრების წესი ილიასავით ცხოვრებაა.

სწორედ ამ აზრს ავითარებს საკუთარ ლექსში:

„ილიასავით უნდა იცოცხლო,
ებრძოლო სულით მახინჯს და უვიცს,
ცუდთან არ დაგცდეს ქათინაური,
არ გაუღიმო არასდროს უღირსს.
თუ კაცურ კაცის სახელი გინდა,
თუ გსურს გიწამონ ხატად და ღმერთად.
შენ შენი ქვეყნის უღელი მძიმე
უნდა გასწიო შენს ხალხთან ერთად.
სტუმარს დაუხვდე გაჯილი თასით,
მეხად დაეცე მომხდურს და ორგულს,
უნდა დაუდგე ქვეყანას ბურჯად,
რომ გეძახოდნენ უტეხს და ლომგულს.
ილიასავით უნდა იცოცხლო,
თუკი ნამდვილი ქართველი გქვია.
ნუ გაიკვირვებ თუ ერთ საღამოს,
მასავით გულში გახალეს ტყვია.“



ზაურ გონაშვილის ხსოვნის საღამოზე მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა მისი ბიოგრაფიული ცნობები გაგვაცნო და წაიკითხა რამდენიმე ლექსი მისი შემოქმედებიდან. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ და ლექსები წაიკითხეს ასევე ჩვენი რაიონის პოეტებმა და ზაურის მეგობრებმა: ჯუმბერ უთრუთაშვილმა, თამაზ წიკლაურმა. სიტყვით გამოვიდა და ბევრი საქებარი სიტყვა თქვა გონაშვილზე თავად სერგო ქართველიშვილმა. მისი ნათქვამიდან გავიგეთ, რომ ზაურ გონაშვილის პოეზია ნახევრად დაუწერელი დარჩა, რადგან ის მშენებლობის დროს, ხარაჩოებზე დგომისას ბევრ ლამაზ სტრიქონს და ლექსს აწრთობდა, რომელიც ფურცელზე ვერ გადავიდა და ტაძრის მშენებლობისას კედლებმა ზვარაკად ჩაიტანეს.

ზაურ გონაშვილის შრომისმოყვარეობაზე, მისი სიცოცხლის ბოლო დღეებზე და ექიმების დიაგნოზზე ისაუბრა მისმა შვილმა: —„იმდენად უყვარდა შრომა, საქმე რომ არაფერი ჰქონდა, ძალით გამოიგონებდა ხოლმე რაიმეს. დილით ძალიან ადრე დგებოდა და მუდმივად რაღაცის ჭიდილში იყო, მუდამ რაღაცას აკეთებდა, რაღაცას ქმნიდა. რასაც აკეთებდა, აკეთებდა გულიანად და ხარისხიანად, წუნს ვერ დაუდებდით მის ნამუშევარს. აღარ ვსაუბრობ მის ღვაწლზე ტაძრების მშენებლობის საქმეში. ასაკში შესვლის შემდეგ გულს იტკიებდა, ექიმთან რომ წავიყვანეთ, აღმოჩნდა, რომ მას თანდაყოლილი გულის მანკი ჰქონია. პირველი, რაც ექიმებმა თქვეს - არაფერი უნდა ასწიოსო, როდესაც გაიგეს, რომ ის კირითხურო იყო და მთელი ცხოვრება მუშაობაში გაატარა, გაოცდნენ, ასეთი პაციენტი ჩვენს პრაქტიკაში არ გვყოლიაო. გულის მანკით დაავადებულთა უმრავლესობა მკურნალობის შედეგებით მხოლოდ 45 წლამდე თუ აღწევსო და თქვენ, ფიზიკური დატვირთვის პირობებში, 70 წლამდე მიგიღწევიათო. მათ უთხრეს, რომ მისთვის უბრალოდ რაიმე ნივთის გადადება-გადმოდებაც არ შეიძლებოდა, არამცთუ ამდენი შრომის. არადა ექიმებს რომ გაეგოთ ელიის მშენებლობაზე როგორ ეკიდა ზაური თოკებზე და როგორ აშნებდა, ალბათ პანიკას ატეხდნენ. თუმცა, მათგან დაბრუნების შემდეგაც არ იშლიდა მამა, ის მაინც განაგრძობდა შრომას და ამბობდა, რა ვქნა, არ შემიძლია, მირჩევნია ვიშრომო და დღესვე მოვკვდე, ვიდრე უშრომველად გავთავდეო. ასეთი იყო მისი ცხოვრების წესი. ალბათ უფალმაც იცოდა მისი ჩვეულება და აჩუქა ამდენი წელი, შთაუნერგა უნარი და გამძლეობა, რომ ასეთი დაავადებით ამდენი წელი ეცოცხლა მას.“

ზაურ გონაშვილის ხსოვნის საღამოს ესწრებოდნენ მუზეუმის თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები და კულტურის ცენტრის წარმომადგენლები.

ლალი მეხრიშვილი

„ზეპირი ისტორია“

ჰატარა თვითმხილველის ნაამბობი

მე ამ ზაფხულს, როგორც ყველა სხვა, დასასვენებლად ვიყავი წასული. ზაფხულის არდადაგებს ყოველთვის დედულეთში ვატარებ, ჩემს პაპასთან და ბებიასთან, ისტორიულ ჰერეთში. მოგეხსნებათ, ეს ტერიტორია დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაშია და საქართველოს ძირძველი მხარეა. აქ დღეს კვლავაც ცხოვრობს 8000 ქართველი, რომელნიც კვლავ ქრისტიანები არიან და კვლავ ქართულად, ოღონდ ძველი კილოთი ლაპარაკობენ, მათთან ერთად აქვე ცხოვრობენ მუსლიმანი აზერბაიჯანელები. ამ ზაფხულს ერთი საინტერესო ამბის მოწმე გავხდი. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსებულ ქრისტიანულ სამლოცველოებში აღმსარებლობის უფლება იქ მცხოვრები „ ინგილოელებისათვის“ ჩამოერთმია და მხოლოდ ერთი მოქმედი პატარა ტაძარი დაეტოვებინა, სადაც მათ აღმსარებლობის უფლება ექნებოდათ. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა მთელი საინგილო შეძრა და თითქმის ყველა ოჯახში ორი კვირის მანძილზე ამაზე საუბრობდნენ, ამ საუბრის უშაულო მონაწილე მეც აღმოვჩნდი. დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდეგ დამაინტერესა, ადრეც ხომ არ მომხდარა ასეთი დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე-მეთქი და ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავიც შევიტყვეჩემი პაპისაგან. მას პროფესიონალი ჟურნალისტივით კითხვების დასმა დავუწყე.

-ხომ არ გახსენდება ამბავი, რომელიც ასეთ დაპირისპირებაზე მოგვითხრობს?

-მე პირადად არა, მაგრამ გადმოცემით ვიცი.

-ხომ ვერ მიამბობდი?

-კი, მაშინ ჩვენ მასობრივი გაჟლეტისაგან გადავრჩით. მგონი 1915 ან 1916 წელი იყო. ზუსტად არ მახსოვს. აქ ჩვენთან ერთად მაშინ სომხებიც ცხოვრობდნენ და, რა თქმა უნდა, თათრებიც. თათრებმა მოინდომეს, რომ ეს ტერიტორია მთლიანად გაეწმინდათ სომხებისა და ქართველებისაგან, ჩვენგან განსხვავებით აქ სომხები უფრო მცირე რაოდენობით იყო სულ რაღაც 80 ან 100 ოჯახი იყო. ღამით თათრები უეცრად თავს დაესხნენ მათ, ყველა სიკვდილით დასაჯეს და წინასწარ ამოთხილ დიდ ორმოში დაასაფლავეს ყველა. ჯერი ქართველებზე მიდგა და თათრებმა უფრო დიდი ორმოს ამოთხრა დაიწყეს, რათა ქართველები იქ დაესაფლავებინათ. აქეთ-იქით სულ ცხენოსნები დადიოდნენ სოფლებში და არავის გასვლის უფლებას არ აძლევდნენ. ერთი სიტყვით, სასიკვდილოდ ამზადებდნენ, სოფელში მარტო კაცები იყვნენ. ბავშვები და ქალები მთაში გაიხიზნენ წინასწარ.

-შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

-იმ დროს იყო ერთი მღვდელი, რომელიც მთაში იყო გახიზნული ბავშვებთან და ქალებთან ერთად და საკმაოდ მოხუცი იყო. მან წერილი დაწერა, რათა ლაგოდეხის მაზრის უფროსისათვის შეეტყობინებინა ეს ამბავი. მთებში საცალფეხო ბილიკზე გამოსულმა ნახა ერთი დაღესტნელი ლეკი და 500 მანეთს დაპირდა, თუ ამ წერილს ლაგოდეხში წაიღებდა. ლეკმა ეს წერილი მაზრის უფროსს გადასცა, მან კი ვლადიკავკასში განლაგებულ რუსეთის ჯარის გენერალს შეატყობინა, რომელმაც დამსჯელი ექსპედიციისსახით 7000 ცხენოსანი მხედარი გამოგზავნა. შემოსულმა ჯარმა ამ საქმის წამომწყები უამრავი ადამიანი დასაჯა და იმავე ორმოში დამარხა, რომელსაც ქართველთა დასამარხად ამზადებდნენ. რუსის ჯარს თურმე უხვად გამასპინძლებიან. ლეგენდად დადიოდა თურმე-რუსის ჯარს იმდენი ბუხანკა პური მოუტანია, რომ რბილ სავარძლებს აკეთებდნენო. რუსთა ჯარი აქ სამი დღე დარჩა და ისევ ვლადიკავკასისკენ გაემართნენო.

შალვა ჯამასპიშვილი

შირაქის სკივრი

1969 WLIS NOEMBERI

○ GAMOMCEMLOBA `SABWOTA SAQARTVELOM~ GAMOUSVA WIGNI, ELGUJA QVATAZIS ISTORIUL-EKONOMIURI XASIATIS GAMOKVLEVA `WITELWYARO~. WIGNI EQVSI TAVISAGAN SESDGEBA. AVTORI SAARQIVO DA SXVA WYAROEBIS MOMARJVEBIT MOGVITXROBS IM CVLILEBEBZE, ROMELIC MOXDA WITELWYAROELI MSROMELEBIS MATERIALUR-KULTURULI YOFIS GAUMJOBESEBASI. WITELWYARO ERT-ERTI MZLAVRI SASOFLO-SAMEURNEO RAIONIA, ROMELSAC DIDI XVEDRITI WONA AQVS MTELS RESPUBLIKASI. RAIONIS KOLMEURNEOBEBSI WLIURAD SASUALOD AWARMOEBEN SAQARTVELOSA DA SABWOTA KOLMEURNEOBEBIS MIER WARMOEBULI MZESUMZIRIS 36%-S, XORBLIS 20%-S, XORCIS 18%-S, KVERCXIS 20,50%-S.

○ VISAC SOFEL JAFARIZIS XEVSI MORAKRAKE E.W. WIRXLIS CIVI WYARO GIGEMIAT, UTUOD SENISNAVDIT IQVE MARLOBZE MDGAR TANAMEDROVE STILIT NASENTETRAD SEREBIL SENOBAS. ES JAFARIZIS SAKOLMEURNEO BAGA-BARIA. AMJAMAD 25 BAVSVI IRICXEBA, 11 GOGONA, 14 BIWUNA. BARS YVELA PIROBA AQVS SEQMNILI, AXLA MTAVARIA ENERGIULI SROMA. MZAREULELENE BOSTORANASVILIS MIER MOMZADEBULI SAKVEBI MARTLAC NOYIERIA. KVEBA SAMJERADIA DA KERZEBI MRAVALFEROVANI. KOLMEURNEOBA BARS YOVELTVIS AXALI XORCIT, RZIS PRODUQTEBITA DA BOSTNEULIT AMARAGEBS.

1974 WLIS NOEMBERI

○ PURPRODUQTEBIS WITELWYAROS ELEVATORSI MOXDA SAXELMWIFO QONEBIS DATACEBA, 16 200 KG MZESUMZIRA RAMIT MALULAD GAITANES DA SIRNARIS RAIONIS SOFEL MARAROSI KERZO PIREBZE GAYIDES. AXLA IKITXAVT, AMODONA MARCVLEULI DIREQCIIS SEUMCNEVLAD ROGOR GAITANESO? DAMNASAVETA JGUFMA YVELA RONE IXMARA, ROM UCAMICUMOD GAETANAT 16 TONA PRODUQTI. DAMNASAVEEBI GAMODGNEN: ELEVATORIS DIREQTORI VAXTANG BOSTORANASVILI, DIREQTORIS MOADGILESOTA KOWLAMAZASVILI, SAWYOBIS GAMGE MIXEIL BATIASVILI, DARAJEBI IVANE QURCIKISVILI DA IOSEB MAWARASVILI, ASEVE AMAVE BAZIS SOFERI FIRUZ CAKASVILI. ERTMANETIS XELSEWYOBIT DA WAQEZEBIT DAITACES MZESUMZIRA. ERT DROS SEXMATKBILEBULI TANAMSROMLEBI DA SEMDEGSI DAMTACEBLEBI, XAFANGSI GABMIS SEMDEG, ERTMANETZE GADABRALEBAS MOHYVNEN, OROND KI TAVI DAEZVRINAT. MAGRAM SAMARTALS SAD GAEQCEODNEN? BOSTORANASVILS, KOWLAMAZASVILS DA BATIASVILS SEEFARDAT 6-6 WLIT PATIMROBA, MOXDIS SEMDEG 5 WLIT AEKRZALEBAT TANAMDEBOBAZE MUSAOBA. CAKASVILS SAMI WLIT PATIMROBA, DANARCENEBS ORI WLIT. DARAJEBI QURCIKISVILI DA MAWARASVILI SASJELISGAN GANTAVISUFLDNEN, ROGORC MEORE MSOFLIO OMIS MONAWILENI. IMEDIA ELEVATORSI DATRIALEBULI TRAGEDIA BEVR URWMUNO TOMAS DAAFIQREBS, ROM GAUGEBARI DA MIUKVLEVELI ARAFERIRCEBA DA ERTADERTI GZA ARIS PATIOSNAD CXOVREBA DA MUSAOBA.

○ WITELWYAROS RKINIGZIS SADGURSI ARSEBUL BUFETSI MUSAOBDNEN WITELWYAROELEBI 1947 WELS DABADEBULI EDUARD XARASVILI DA 1946 WELS DABADEBULI LOMJAR ABULASVILI. ISINI SARGEBLOBDNEN WNORIS SAGZAO RESTORNIS DIREQTORIS VAXTANG QVELIZISA DA BURALTERIS ETER TALIASVILIS DAUDEVROBITA DA WAYRUEBIT. MAT 1974 WLIS MARTIDAN 6 TVIS GANMAVLOBASI MIITVISES 14 213 MANETI, XOLO ROCA TAVI XAFANGSI AMOHYVES, TAVS IMARTLEBDNEN, ES FULI SAXLSI GVQONDA, RATA TU GEGMAS VER SEVASRULEBDIT, ASE GADAGVE FARAO. MERE UNDA SEGVETANAO DA ATASI SXVA UKBILO TYUIL-MARTALS MOHYVNEN, MAGRAM VIN DAUJERA? MATI DANASAULI MTELI SIGRZE-SIGANIT IQNA SESWAVLILI DA ORIVES SAKADRISI MIEZROT. MAT 6-6 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIESAJAT.

1975 WLIS NOEMBERI

○ SICIVE DAIWYO DA NAVTIS RIGSI MDGOMTA RICXVIC GAIZARDA. QALAQ WITELWYAROSI ARSEBUL ERTADERT NAVTIS GASAYID JIXURTAN VITAREBAS ISIC ARTULEBS, ROM DILIS 9-DAN 1 SAATAMDE MUSAOBEN. ABA, WARMOIDGINET, IM MUSA-MOSAMSAXUREEBIS GASAWIRI, ROMLEBIC SESVENEBAMDE VER MOAXERXEBEN NAVTIS YIDVAS. ARADA, SAXLSI AQVT NAVTQURA, ROMELSAC GASATBOBADAC XMAROBEN DA SESAZLOA, SAWMELIS MOSAMZADEBLADAC. SAQME IMASIA, ROM GAMYIDVELI TAMAR SVIMONISVILI NAXEVAR GANAKVETZEA DA TVESI 30 MANETS IREBS. IQNEB MAS AKMAYOFILEBS ES MCIRE XELFASI, MAGRAM RA DAASAVA ATASOBIT MOMXMAREBELMA. SAINTERESOA, RATOM GAUQMDA MEORE JIXURI. ASE TU ISE, NAWILOBRIV MAINC AMSUBUQEBDA NAVTIS MOMXMAREBELTA GASAWIRS UNAVTOD DARCENILI NAVTQUREBI PASUXSELIAN: NAADREVAD XOM AR MIPIREBEN GADAGDEBAS WITELWYAROELI `RACIONALIZATOREBIO?~

○ SAQARTVELOS SSR UMARLESI SABWOS PREZIDIUMMA XANGRZLIVI DA KETILSINDISIERI MUSAOBISTVIS MEDLIT: `SROMIS VETERANI~ DAAJILDOVA WITELWYAROS RAIKOOPERATIVIS MUSAKEBI. GAMYIDVELEBI - NADIA GONASVILI DA IOSEB POPIASVILI, ASEVE SAWYOBIS GAMGE VASIL WUWULASVILI.

AMASWINAT, MWYOBRSI CADGA LAKBE-NUKRIANIS WYALSATUMBI, ROMELIC MORWYAVS 3 000 HEQTRAMDE SAKOLMEURNEO MIWEBS. WYALSATUMBI RTULI HIDROTEQNIKURI NAGEBOBAA DA 7 KILOMETRZE METI SIGRZIS MAGISTRALURI ARXI AQVS. MSENEBLEBMA AQ SASMELI WYLIS WABURRILIC MOAWYES DA AXLA NUKRIANELEBS SAKMARISAD EQNEBAT SASMELI WYALI.

○ OQTOMBRIS MZEM AXLEBURAD GAANATA WITELWYARO. AIGO AXALI SKOLEBI, BAVSVTA BAREBI, KLUBEBI, BIBLIOTEKEBI, SACXOVREBELI SAXLEBI. SWORED 7 MOEMBERS GADAECA SAEQSPLOATACIOD 5 SARTULIANI AXALI SACXOVREBELI SAXLI QALAQ WITELWYAROSI, RUSTAVELIS QUCAZE. MISI ZIRITADI MOBINADREEBI ARIAN `SAQNAVTIS~ WITELWYAROS BURRVIS KANTORIS MUSA-MOSAMSAXUREEBI.

○ PARTORGANIZACIIS KREBAZE ZEMOQEDELEBMA NAKLOVANEBEBI AMXILES. KOMUNISTEBI KRITIKULAD SEEXNEN KAVSIRGABMULOBIS RAIKVANZIS MUSAOBAS. TQVES, ROM JURNAL-GAZETEBI XSIRAD AR MIDIS XELMOMWEREBAMDE, CUDIA SATELEFONO KAVSIRIC, UPASUXISMGEBLOBAS ICENEN TELEFONIS MORIGEEBI, MOSLILIA RADIOQSELI.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

4 ნოემბერს ნიკო ფიროსმანაშვილის მშობლიურ სოფელ მირზაანში გაიმართება „ფიროსმანობა“

ფ ი რ ო ს მ ა ნ ი

დაწინწკლულ ზეცას ამშვენებს
გავსილი მთვარის ბრწყინვა.
გოდოლი ვერ ავაშენე
ამ ამოუცნობ დროში.
ვხატე სუფრები ზღაპრული,
ნატურმორტები სრული
და მაინც ვერ დავაპურე
მუდამ მშიერი სული.
ქარმა ფიცრული დალაშქრა
დაუნდობელი ფრთებით,
კერაზე ცეცხლი კვლავ ჩაქრა,
ისევ სიცივით ვთბები.

სიცოცხლემ გული მომპარა,
სიკვდილმა აღსასრული,
დარჩა ჩამქრალი ლამპარი,
მიმოფანტული სული.

.....

სხვათა დროებას ვერ შეეზავე
და შენი ბედიც ვერ მოიკალა,
ლუვრის კედელთან დგას „მეეზოვე“,
ფხიზლობს ისანი და ნარიყალა,
შენი დრო გიხმობს - კარის მეზობელს,
დუღს სამოვარი, სად ხარ, ნიკალა!

გელა ჯაბუშანური

როდიდან გაიზრდება პენსია

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2019 წელს პენსიები 20 ლარით გაიზრდება," - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მნიშვნელოვანი განცხადება მინდა გავაკეთო პენსიებთან დაკავშირებით, მათ შორის, პენსიების ინდექსაციასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, რომ ძალიან მალე საქართველოს პარლამენტში შემოვა საპენსიო რეფორმის კანონი. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს გამიზნული, რომ აღნიშნულ კანონში იქნება საბაზისო პენსიაზე ინდექსაციის ჩანაწერი. თუმცა ვიდრე ჩვენ ინდექსაციის ჩანაწერს განვიხილავთ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ეს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში მიმდინარე ხარჯების ნაწილში წარმოდგენილიც იყო, როდესაც ჩვენ საშუალოვადიანი ბიუჯეტი წარმოვადგინეთ, რომ 2019 და 2020 წელს ინდექსაციის მეთოდით 2019 წელს - 20 ლარით და 2020 წელს - 20 ლარით გაიზრდება პენსიები", - განაცხადა ქუმსიშვილმა.

მინისტრის თქმით, პენსიის მატების შესახებ გადაწყვეტილებით მთავრობამ არჩევნებამდე "პოპულისტურად არ ისარგებლა".

"მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ჩვენ არ გამოვიყენეთ პოპულისტური ხერხი და მართალია, ვიცოდით, რომ 2019 და 2020 წლებში პენსია გაიზრდებოდა, თუმცა არ გავაკეთეთ ეს განცხადებები. არ მივეცით ფუჭი დაპირებები ჩვენს მოქალაქეებს. ჩვენ ვაძლევთ დაპირებებს, რომელსაც ვასრულებთ, ჩვენ 2016 წელს ჩვენს მოქალაქეებს დავპირდით, რომ ეკონომიკა გაიზრდებოდა, ოთხპუნქტიანი გეგმა შესრულდებოდა და შესაბამისად, ჩვენ უნდა მივცეთ ის დაპირებები, რომელსაც შევასრულებთ. ჩვენ 2019 და 2020 წელს გავზრდით პენსიას. ასევე იქნება ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელშიც ჩვენ გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა", - აღნიშნა ქუმსიშვილმა.

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ნოშრევან მამუკელაშვილი

ერთადერთი, რაც არანაირ კანონს არ ემორჩილება და ვერც დრო სჯაბნის, ეს სიკვდილია. ასი წელიც რომ გავიდეს, ვის შეუძლია, დაივიწყოს თავისი მიცვალებული, მით უფრო მეუღლე, გულის მესაიდუმლე. არანაირ შვებას არ ელოდები, არავის და არაფრის იმედი არ გაქვს. ეს ის ჯვარია, ბოლომდე რომ უნდა ზიდოს შენმა მეორე ნახევარმა, რაღა თქმა უნდა, შვილებმა და შვილიშვილებმაც...

დროს ვერ შეაჩერებ, ჩვენო ნოშრევან. უკვე ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც სულთა სამყაროში გადასახლდი და გულნატკენი დაგვტოვე შენი ოჯახის წევრები.

ავბედითი გამოდგა შენთვის 2017 წელი. 7 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, ვაი, რომ უშენოდ უნდა აღვნიშნოთ და ზეციურ სასუფეველში მოგილოცოთ 77 წელი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავზე, დაგინთოთ წმინდა სანთლები, უფალს შევავედროთ შენი სული, რათა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

სიყვარულით, მეუღლე ნათელა გელაშვილი,
შვილები: გია, ნონა, მამუკა; **ძმა** ნუგზარ მამუკელაშვილი, **სიძე** ელგუჯა,
შვილიშვილები: გიორგი, სიმონი, ნიკოლოზ და თამარ სუარიშვილები.

შ.პ.ს.რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი, დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენს ექიმებს: ზინაიდა ძელურს შვილიშვილის და მარინე პოპიაშვილს ძმიშვილის

გიორგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ანზორ მარტყოფლიშვილის სახელობის ტურნირი



ქ. დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრში გაიმართა გამოჩენილი ქართველი ძიუდოისტის, ჩვენი თანამემამულის ანზორ მარტყოფლიშვილის სახელობის ტურნირი ძიუდოში, სადაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან 8 გუნდი მონაწილეობდა. შედეგები კი ასე გადანაწილდა: პირველი ადგილი დაიკავა დედოფლისწყაროს გუნდმა, (მწვრთნელი კახა წიკლაური) მეორე ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი, ხოლო მესამე ადგილები „ოლიმპმა“ და მარნეულის გუნდებმა დაიკავეს.

დედოფლისწყაროს გუნდის შემადგენლობა ასეთი გახლდათ: თამარაშვილი გიორგი, ციხელაშვილი გიორგი, წიკლაური გუგა, ხუციშვილი გიორგი, აფციაური გიორგი, არაბული გიორგი, ხუზაურაშვილი ნიკა, ბედოიძე ნიკა, ჭამიაშვილი ნიკა.

ანზორ მარტყოფლიშვილი ქართული სპორტის ერთ-ერთი გამოცდილი მუშაკია. ძიუდოს ფედერაციის მიერ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამართულ შეჯიბრებებზე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთაგან უფრო ხშირად სწორედ მას ვხედავთ. მრავალი წელია, ის ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანია. ძალზე შთამბეჭდავია მისი სპორტული კარიერა. ევროპის ჩემპიონი (1968) და მესამე პრიზიორი (1971), სსრკ ჩემპიონი სამბოში (1970). სსრკ ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი და გუნდის უფროსი (1977-86), საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1991-იდან), გენერალური მდივანი (2001-წლიდან). ავტორია სამი ნაშრომისა ძიუდოს და სუმოს შესახებ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სამბოსა და ძიუდოში, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში, ღირსების ორდენის კავალერი.

ყურადღება!

ქირავდება კერძო, სუფთა ბინა ქალაქ დედოფლისწყაროში თამარის ქუჩა №95. ბინა უზრუნველყოფილია წყლით და ბუნებრივი აირით. თვეში გადასახადი იქნება 50 ლარი.

☎ 568 31 27 27; 599 55 37 33

რესპუბლიკური ტურნირი სილნაღში და ორი გამარჯვებული დედოფლისწყაროელი

15 ოქტომბერს სილნაღში, ქალაქის დღის აღსანიშნავად ცენტრალურ მოედანზე გაიმართა რესპუბლიკური ტურნირი კიკბოქსინგში. მაყურებელმა იხილა ქართველი და უცხოელი სპორტსმენების შერკინება, კიკბოქსინგის გულშემატკივართ კი დაუვიწყარი სანახაობა აჩუქეს.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სპორტსმენებთან ერთად დედოფლისწყაროელებმაც მიიღეს მონაწილეობა სილნაღის რინგზე.

გამარჯვება 45 კგ წონით კატეგორიაში მალხაზ ჯაგაშვილმა და 75 კგ წონით კატეგორიაში ნოდარ ცხოვრებაძემ მოიპოვა. ასევე კარგად იასპარეზეს ლუკა ცისკარაულმა და გიორგი გონაშვილმა მაგრამ ქულებით დამარცხდნენ.

ნოდარ ცხოვრებაძემ შეჯიბრის დამაგვირგვინებელ ბრძოლაში დაამარცხა ირანელი მეტოქე. მართლაც, რომ პროფესიონალურად, ოსტატურად გამოვიდა ნოდარი და ირანელს შანსი არ დაუტოვა გამარჯვებისთვის. მეტოქეს პირველ რაუნდში ნოკდაუნი დაუთვალა მსაჯმა და მესამე რაუნდში კი ნოკაუტით დაასრულა ბრძოლა.

ბოლო ხანს, ნოდარ ცხოვრებაძე კვლავ დაუბრუნდა ძველებურ საუკეთესო სპორტულ ფორმას.

შეჯიბრის მთავარი მსაჯი იყო საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ჯავახია, ორგანიზატორი კი სილნაღის კიკბოქსინგის მწვრთნელი დავით სარდალაშვილი და სილნაღის გამგეობა.

ილია მარტყოფლიშვილი

პედაგოგის დღე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში

მართალია დაგვიანებით, მაგრამ ოქტომბრის მიწურულს დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში მაინც შედგა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სახლი, სადაც ჩვენი შვილები ყოველდღიურად ატარებენ გარკვეულ დროს და შემეცნებით მუშაობას ეჩვევიან, მუდმივად პედაგოგების თბილი გარემოცვა ხვდებათ. ამიტომაც სულ სხვა შარმი აქვს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ჩატარებულ ღონისძიებებს, რაშიც უდაოდ დიდია აქ მოღვაწე პედაგოგების წვლილი... მუდამ სითბოთი და სილამაზით სავსე გარემო ამჯერად უფრო გალამაზებული დამხვდა. ულამაზესი დეკორაცია და შინდისფერი ფარდებით მორთული გარემო, მართლაც ქმნიდა მყუდროებას და ისევ და ისევ პატრიოტიზმის განცდას ბადებდა. მეწამული შინდისფერი ხომ ქართველთა ფერია, ჩვენი წინაპრების დანთხეული სისხლისფერი. ჩვენც ხომ ასეთ ქართველებს ვზრდით და ვაყალიბებთ. ამ მრავლისმთქმელი სილამაზის ავტორი კი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდა თანამშრომელი ანა აბულაშვილი გახლდათ, რომელმაც ახალი სისხლი, ახალი ენერგია შეიტანა პედაგოგთა კოლექტივში. ყველაზე მეტად მოსაწონი კი პედაგოგების და მოსწავლეების ერთიანობა, მათი მეგობრული, ერთ ოჯახად შეკრული ურთიერთდამოკიდებულებაა.

ღონისძიება გახსნილად გამოაცხადა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა თამარ ლაპიაშვილმა და სცენა გამოცდილ, ღვაწლმოსილ პედაგოგს ნინო სიფრაშვილს დაუთმო, რომელსაც არასოდეს ეშლება ის სულისკვეთება ჩადოს მოსწავლეებში, რომელიც ჭეშმარიტ მამულიშვილებად აყალიბებს ჩვენს შვილებს.

ღონისძიების წამყვანები იყვნენ ქრისტინე ბოჭორიშვილი, ლილე ლეკაშვილი, ანი ბექიშვილი, მარი ღორაკუდაშვილი, გურანდა ღვედაშვილი. მასწავლებლებს ლექსებს უძღნიდნენ: ანანო ბიძინაშვილი, ნიკა გიგოლაშვილი, გიორგი გონაშვილი, ქეთი და ანი მეხრიშვილები, ნიკოლოზ რობიტაშვილი, საბა უზუნაშვილი, კახი პოპიაშვილი, გიორგი ღვედაშვილი, გურამ და კესარია გოგაშვილები. ესათუთებოდნენ მასწავლებლის თითოეულ ღვაწლს და ამაგს, მადლობას სწირავდნენ და აიმედებდნენ, რომ პედაგოგების შრომა საკადრისად დაფასდება მათ მიერ. აცხადებდნენ, რომ სწავლა და განათლება არასოდეს დაკარგავს თავის სინათლეს, თუკი მას სწორად გამოიყენებს შთამომავლობა. ჩვენს წინაშე იდგა ის თაობა, რომელიც საქართველოს ღირსეული მომავალია.

ბავშვების მიერ წარმოდგენილმა მასალამ, მათმა აღზრდილობამ, პედაგოგის მიმართ უდიდესმა სიყვარულმა, უნებურად ილიას სიტყვები გამახსენა: „ქართველი ერი ყოველთვის მისდევდა განათლებასა და სწავლას. ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გალესილია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს. მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა. სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ. სწავლა, ცოდნა, მეცნიერება — ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვეღარ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმაღლე. სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება.განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს“.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებს დამსწრე საზოგადოებისთვის და პედაგოგებისთვის მოულოდნელი სიურპრიზები ჰქონდათ მომზადებული. თითოეულმა მათგანმა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებს, დამსწრე საზოგადოებას და მათთვის საყვარელ მასწავლებლებს მიუძღვნეს სამახსოვრო ბარათები, რომელშიც ნინო მასწავლებლის მიერ შექმნილი ლექსები ეწერა. ბარათები გადასცეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორს თამარ ლაპიაშვილს, პედაგოგებს: თამარ აბულაძეს, მაყვალა მაძღარაშვილს, დონარა ჯალიაშვილს, ანა აბულაშვილს, მაია გაგნიაშვილს, ლია ნატროშვილს, შორენა ასანიშვილს, ნანა ახალაშვილს, მზია ბაშარულს და ნინო მეხრიშვილს. ასევე დამსწრე საზოგადოებას და სხვა სკოლის პედაგოგებს: ნანული ნატროშვილს, მაია ყოჩიაშვილს, თამარ თამაზაშვილს, მარინე ინასარიძეს და სხვებს. ბავშვებმა ბარათებში არსებული ლექსები ჯერ წაუკითხეს, შემდეგ ბარათებთან და ყვავილებთან ერთად გადასცეს თითოეულს. ეს იყო ძალიან თბილი, ემოციურად დატვირთული საღამო, რომელმაც მშობლების, პედაგოგების და მოსწავლეების გულებამდე ნამდვილად მოაღწია.

„შირაქის“ რედაქცია რაიონში მოქმედ ყველა პედაგოგს ულოცავს მასწავლებლის პროფესიულ დღეს და უსურვებს კვლავაც ღირსეულად გაეგრძელებინოთ ის ურთულესი პროფესია, რასაც მომავალი თაობების აღზრდა და განათლებასთან ზიარება ჰქვია.

ლალი მეხრიშვილი

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 06.11		სამშაბათი 07.11		ოთხშაბათი 08.11		ხუთშაბათი 09.11		პარასკევი 10.11		შაბათი 11.11		კვირა 12.11	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
12°	9°	15°	11°	15°	12°	11°	10°	9°	8°	7°	6°	9°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.